

K 179388  
3

ლიბრარი გურგენიძე



ი. ჯავახიშვილის მოღვაწეობა  
სახალხო განათლების დარგში  
და მისი  
პედაგოგიური შეხედულებები

დირიჟორი გურგენიძე

ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა  
სახალხო განათლების დარგში  
და მისი პედაგოგიური შეხედულებები

სპეგ-2000  
შემოწმებულია

74.03(2Г)

092(ჯავახიშვილი)+37(47.992) (09)

ბ 961



ნაშრომში განხილულია დიდი ქართველი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის საქმიანობის ერთ-ერთი მხარე, კერძოდ, მისი მუშაობა განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ და სახალხო განათლების შესახებ გამოთქმული აზრები.

რედაქტორი გ. ს ა ჯ ა ი ა

1493 88

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979

60300

Г  
M 608(06)-79

ა. შატოშვილის სახ. საბჭ.  
საქართველოს  
რესპუბლიკის  
მეცნიერებათა აკადემია

დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ მის მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობაზე ქართული სკოლისა და სახალხო განათლების დარგში ჯერ არაფერი დაწერილა. ისეთ სოლიდურ მონოგრაფიაში, როგორიც პროფ. დ. გვრიტიშვილის წიგნია, საკმაოდ ვრცლად დასაქირო მეცნიერული სიღრმით მიმოხილულია ამ ღვაწლმოსილი ადამიანის მრავალმხრივი საქმიანობა და დამსახურება თავისი ერის წინაშე, ხოლო სახალხო განათლების დარგში მისი მოღვაწეობის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ ზოგადად არის აღნიშნული: 1919—1921 წლებში ივ. ჭავჭავიძელი იყო საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე<sup>1</sup>.

ამავე ავტორის წერილი ივანე ჭავჭავიძის შესახებ მოთავსებულია კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები“, მაგრამ ავტორი სრულიად გვერდს უვლის მის პედაგოგიურ შეხედულებებსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას სახალხო განათლების დარგში, რასაც იგი ეწეოდა განსახკომის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის მთელ მანძილზე.

ი. ჭავჭავიძის მოღვაწეობის ამ მხარეს გვერდი აქვს ავლილი ავრეთვე 1975 წელს გამოცემულ რ. მეტრეველის საგულისხმო ნაშრომში: „კვალი განათლებული“, რომელიც ეძღვნება ივანე ჭავჭავიძის მოღვაწეობას ქართული კულტურის ზოგიერთ დარგში. წიგნში რიგი საინტერესო და საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მასალაა გამოქვეყნებული: რაც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მეცნიერის საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეზე. ამავე დროს იგი გვარწმუნებს იმაშიც, თუ რაოდენ ბევრი

<sup>1</sup> დაეით გვრიტიშვილს, ივანე ჭავჭავიძელი, „ნაკადული“, თბილისი, 1968, გვ. 30.



რამ კიდევ შესასწავლი და გამოსავლინებელია ამ ფართო მასშტაბის მოაზროვნისა და მოღვაწის მემკვიდრეობიდან.

ჩვენ მისი მოღვაწეობის ერთ მხარეს ვეხებით, კერძოდ იმ დიდ და ნაყოფიერ მუშაობას, რაც ივანე ჯავახიშვილმა გასწია საქართველოს განსახკომის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში.

ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის დამადასტურებელი მასალები ნაწილობრივ 1919-20 წლების ეურნალ „განათლებაშია“ გამოქვეყნებული, უმეტესი ნაწილი კი საქართველოს ცენტრალურმა არქივმა შემოგვინახა.

20-იანი წლების ქართული საბჭოთა პედაგოგიური აზრის ფორმირებისა და განვითარების პრობლემაზე მუშაობის პროცესში განსახკომისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდებში არსებული მასალების შესწავლამ საშუალება მოგვცა გავცნობოდით განსახკომის სამეცნიერო საბჭოში ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მასალებს და წინამდებარე ნაშრომი დაგვეწერა.

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ საარქივო ფონდებში არსებული ყველა მასალა მივაკვლიეთ და გამოვაგლინეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ქვემოთ წარმოდგენილი მასალები, რომელთაგან ბევრი პირველად ქვეყნდება, ნაწილობრივ მაინც შეუქს ფენს ი. ჯავახიშვილის ნაყოფიერ მოღვაწეობას 20-იანი წლების საქართველოს საბჭოთა სკოლის მშენებლობასა და სახალხო განათლების ახალი სისტემის დამკვიდრებაში.

• • •

როგორც ცნობილია, 1921 წლის 25 თებერვლიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა — საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რის შემდეგაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით რადიკალურად გარდაიქმნა და სოციალისტური განვითარების გზას დაადგა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი და მათ შორის სახალხო განათლება.

1921 წლის მარტის დასაწყისში შეიქმნა განათლების სახალხო კომისარიატი, რომელიც სათავეში ჩაუდგა კულტურული რევოლუციის საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ სახალხო განათლების ახალი, საბჭოთა სისტემის ორგანიზაციას. განსახკომთან შეიქმნა აკადემიური ცენტრი, რომელიც სათანადო დებულების საფუძველზე მუშაობდა. ეს დებულება განსახკომის კოლეგიამ დაამტკიცა 1921 წლის 18 აპრილს. მასში განსაზღვრული იყო აკადემიური ცენტრის სტრუქტურა და მისი ძირითადი დანიშნულება. ამ დებულების პირველი მუხლით აკადემიური ცენტრის მიზანი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „აკადემიური ცენტრი წარმოადგენს განსახკომის ორგანოს, რომლის გამგებლობაში შედის განსახკომის სამეცნიერო, სამეცნიერო-სასწავლო, მხატვრული და საერთოდ საგანმანათლებლო საქმიანობის ზოგადი თეორიული და პროგრამული ხელმძღვანელობა“<sup>1</sup>.

როცა აკადემიური ცენტრი განსახკომის სამეცნიერო საბჭოდ გადაკეთდა, მას ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარი, მაგრამ ფაქტობრივად წლების მანძილზე სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 300, ა. 1, ს. 7. ეს დებულება ოდნავ შეცვლილი სახით გამოქვეყნებულია აგრეთვე ვაზეთში: „Правда Грузии“, 1921, № 148. ხელს აწერს განათლების მაშინდელი კომისარი ა. თუმანოვი (ა. თუმანიშვილი).

რექტორი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ოფიციალურ  
ნოადგილედ ითვლებოდა.

ვიდრე განსახკომის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში<sup>1</sup> ჯავახიშვილის საქმიანობას შევეხებოდეთ, მკითხველს გავაცნობთ მის მოღვაწეობას სახალხო განათლების დარგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ივ. ჯავახიშვილი 1920 წლის თებერვალში განათლების სამინისტრომ აირჩია სასწავლო კომიტეტის ხელმძღვანელად<sup>2</sup>.

სასწავლო კომიტეტის პირველივე სხდომაზე ი. ჯავახიშვილმა მოკლედ დაახასიათა კომიტეტის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი და ჩამოაყალიბა მისი მიზანი და ამოცანები. კერძოდ, ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ საქიროა საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად სკოლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანად მას მიაჩნდა სკოლების უზრუნველყოფა შესაფერისი სახელმძღვანელოებით. მისი აზრით, ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ არსებული სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, საჭიროა მათი გადასინჯვა და გაუმჯობესება. „საერთოდ ისეთი ერის ცხოვრებაში, — აღნიშნა მან, — როგორც ვართ ჩვენ, სახელმძღვანელოს აქვს ორი ხანა, ორი გზა — გზა უცხო სახელმძღვანელოს გადმოკეთებისა და გზა ეროვნული ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნისა. პირველი ხანა ჩვენ თითქმის უკვე განვვლეთ; მოგვეპოვება მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც გადმოთარგმნილია, გადმოკეთებული ჩვენი საჭიროების მიხედვით. უნდა შევუდგეთ მეორე გზას, ორიგინალურ, ნაციონალურ ნიშანდობზე აღმოცენებული სახელმძღვანელოს შექმნას. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უეჭველად რანაირიც უნდა იყოს ორიგინალური სახელმძღვანელო, უნდა ვამჯობინოთ უკეთეს თარგმნისს“<sup>3</sup>.

1920 წლის 9 მაისს საბჭოს სხდომაზე<sup>4</sup> გ. ნათაძის სახელმძღვანელოს — „პირველყოფილი კულტურის ისტორიის“, პროექტის განხილვაზე ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მიზანშეწონილია თუ არა პირველყოფილი კულტურის შესწავლა უმაღლეს, პირველდარსებით

<sup>1</sup> ქურნ. „განათლება“, 1920, № 2, გვ. 77.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 77—78.

<sup>3</sup> საქ. ორსტყ. ფ. 1935, ს. 1966, ოქმი № 13, გვ. 61—63.

სკოლების პირველ კლასში? შესწავლა სარწმუნოებისა, ცეცხლის, წერის, რიცხვის და სხვათა წარმოშობის?"<sup>1</sup>.

ივანე ჭავჭავაძის ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებდა: მას საბჭოს საგარეოება ნაწილმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ზოგიერთმა მოითხოვა წიგნის გამოცემა, რამდენადაც ამ კურსის სწავლება გათვალისწინებული იყო სასწავლო გეგმით.

ი. ჭავჭავაძის საზოგადოდ წიგნის წინააღმდეგ კი არ გამოდიოდა, იგი საკითხს სვამდა პრინციპულად: ჭერ ერთი, რამდენად მიზანშეწონილი იყო ასეთი საგნის სწავლება და ისიც პირველ კლასში, მეორეც, მას მიზანშეუწონლად მიაჩნდა ისტორიის კურსის პირველყოფილი კულტურის ისტორიის სახით სწავლება სკოლაში. „პირველყოფილი კულტურა, — აღნიშნავდა იგი, — შეადგენს განსაკუთრებულს ზანას... უნივერსიტეტშიაც კი არ იკითხება ასეთი კურსი. ეს კურსი უფრო ეტნოლოგია, სოციოლოგია და არქეოლოგიაა, ვიდრე ისტორია. და თუ ეს საგნები ჭერ არ არიან საშუალო სკოლაში, მით უფრო არ უნდა იყოს სახალხოში. საჭიროა ამ კურსის საკითხი სასკოლო კომისიის მიერ ყოველმხრივ იქნეს განხილული და აწონილ-დაწონილი, რადგან ათი წლის ბავშვის ტენი სრულებით მომზადებული არ არის ამ კურსის ხეირიანად შესათვისებლად“.

მართალია, კომისიამ წიგნს გამოცემის რეკომენდაცია მისცა, მაგრამ სარეფორმო კომისიას დაავალა ყოველმხრივ განეხილა და შეესწავლა კურსის ამ სახით სასწავლო გეგმაში შეტანის მიზანშეწონილობა.

როგორც ცნობილია, ასეთი საგანი საბჭოთა სკოლის სასწავლო გეგმაში შეტანილი არ ყოფილა. კულტურის ისტორიის საკითხები ისწავლება ისტორიის კურსში, როგორც ამას ივანე ჭავჭავაძის ეპილოგობდა.

სამეცნიერო საბჭოს მუშაობის მეორე ძირითად მიმართულებად ი. ჭავჭავაძის მიაჩნდა მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავება და მისი დამკვიდრება ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, ქართულ სამამულო მეცნიერებებს მყარი საფუძველი მას შემდეგ ჩაეყარა, რაც საქართველოში შეიქმნა ქართული უნივერსიტეტი, სადაც ლექციები მეცნიერებათა ყველა დარგში ქართულ ენაზე იკითხებოდა. ლექციებს, მართალია, გამოჩენილი

<sup>1</sup> საქ. ორსმცხა, ფ. 1935, ს. 1968, ოქმი № 13, გვ. 61.



ქართველი მეცნიერები კითხულობდნენ, მაგრამ მათ მეცნიერული განათლება არუსეთსა და საზღვარგარეთ მიიღეს. ამავე დროს მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებაც არაქართულ გარემოში შეიძინეს. ამიტომ ერთიანი სამეცნიერო ტერმინოლოგიის უქონლობის გამო, როგორც მართებულად შენიშნავდა ი. ჯავახიშვილი, გამეფებული იყო „რაღაცა ენათა აღრევა“; სხვადასხვა სკოლაში, დაწესებულებასა და უწყებაში ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად სხვადასხვა ტერმინი იყო გამოყენებული. რაც გაუგებრობას, უხერხულობას იწვევდა და ანაგვიანებდა ენას.

ი. ჯავახიშვილის აზრით, ტერმინოლოგიის გამოსამუშავებლად არსებობს ორი გზა (პერიოდი): სტიქიური, როცა ტერმინები ჩნდება უცხოურის გავლენით და არის ბრძოლა მისი დამკვიდრებისათვის; მეორე — ეროვნულ-ნაციონალური გზა, როცა ტერმინების შემუშავება ხდება ეროვნული ენის ბუნების შესატყვისად. ამ ენის ბუნების გათვალისწინებით. პირველ პერიოდს იგი თვლის განვილი ეტაპად, ხოლო მეორე პერიოდი, მისი აზრით, უკვე დაწყებულია და შედეგიანადაც. მას მხედველობაში ჰქონდა იმ დროს ახლად გამოცემული ლექსიკონი, რომელსაც ბევრ დადებითთან ერთად ნაკლოვანებებიც ახასიათებდა. მისი აზრით, სტიქიურად აღმოცენებული და სალხში დამკვიდრებული ტერმინების ერთბაშად აღმოფხვრა ძნელია, მაგრამ თანამიმდევრული, მოფიქრებული მუშაობით შეიძლება ამაყად ხმარებული ჩვენი ენისათვის აშკარად შეუფერებელი ტერმინების ქართული ტერმინებით შეცვლა.

ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დადგენის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძნელია გადაჭარბებით შევავასოთ ის დიდი როლი, რაც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გასწია ქართული ეროვნული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა-დამკვიდრების საქმეში.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დამსახურება ის არის, რომ ქართული ენისა და კულტურის ისტორიის გათვალისწინების საფუძველზე მეცნიერების მრავალ დარგში დადგინდა სადღეისოდ დამკვიდრებული ტერმინები. ურთულესი ცნების გამოსახატავად მოიძებნა მეტად მოხერხებული ქართული სიტყვები, რითაც ნათელი მოეფინა არა მარტო ქართული ენის დიდ შესაძლებლობებს, მის მო-

ქნილობას, ძარღვიანობას, ლაზათსა და სურნელებას, არამედ დიდი ნაბიჯი გადაიდგა ქართული ენის შემდგომ განვითარებაში!

ამ დიდ ეროვნულ საქმეში ი. ჯავახიშვილს გვერდში ედგნენ სახელოვანი ქართველი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები, რომლებიც გაერთიანდნენ სასწავლო კომიტეტის კომისიებში შესაბამისი სპეციალობების მიხედვით. ეს კომისიები შეიქმნა ი. ჯავახიშვილის წინადადებით. სახელდობრ დაარსდა შემდეგი კომისიები:

1. საზოგადო ისტორია (წევრები: ალ. წერეთელი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ლულაძე, ლ. ნათაძე, გ. ნათაძე და ა. ეორჯოლიანი);

2. საქართველოს ისტორია (წევრები: კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე);

3. ქართული ენა და ლიტერატურა (წევრები: გ. ჭუმბურიძე, თ. კიკვაძე, აკ. შანიძე, ე. ბერიძე, ს. გორგაძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი და ქ. შარაშიძე);

4. უცხო ენები და ლიტერატურა (წევრები: ილ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, ა. ქუთათელაძე, გ. ახვლედიანი და მ. ზანდუკელი);

5. მათემატიკა (წევრები: მ. კონიაშვილი, ე. ჭოლოშვილი, მ. თაქაქიშვილი, ან. რაზმაძე და გ. ნიკოლაძე);

6. ფიზიკა და ქიმია (წევრები: გ. კონიაშვილი, ა. დიდებულიძე, ა. მოსეშვილი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, მ. შალამბერიძე, ალ. ჯავახიშვილი, შ. ქარუმიძე და გ. ნიკოლაძე);

7. გეოგრაფია (წევრები: ნ. ყიფიანი, გ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიგოვიძე, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, გ. კონიაშვილი, მ. შალამბერიძე, ალ. ჯავახიშვილი);

8. ბიოლოგიური დარგები და ჰიგიენა (წევრები: ზ. ყანჩაველი, დ. გედევანიშვილი, გ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიგოვიძე; ა. ყიფიანი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ვ. ღამბაშიძე, ა. ალადაშვილი, გ. ნათიშვილი);

9. ფილოსოფიური დარგები (წევრები: შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ნ. ქუთათელაძე, ს. დანელია, იმნაიშვილი);

1 ი. ჯავახიშვილის აზრით, „ადმირალს“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო „ამირსპასი“, „აქტის“ ნაცვლად — „სიგელი“, „ამბრაზურის“ ნაცვლად — „დოღაბი“, „ამენიციის“ ნაცვლად — „მოკაშულობა“, „ანტაბკის“ ნაცვლად — „რკალკავი“ და ა. შ. (სცა, ფ. 1935, ა. 1, ს. 1460).

10. სპეციალური და ტექნიკური დარგები (წევრები: ილ. ყიფშიძე, მ. თაქთაქიშვილი, ვ. კაკაბაძე, ა. დიდებულოძე).<sup>1</sup>

სამეცნიერო საბჭოს 1920 წლის 29 მარტის სხდომაზე ივ. ჯავახიშვილმა ვააკეთა მოხსენება ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ. მოხსენების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც ნათლად გამოიკვეთა რამდენიმე შეხედულება. ერთნი ყველა ცნების წმინდა ქართული სიტყვებით გამოხატვის მომხრენი იყვნენ, ხოლო მეორენი მხარს უჭერდნენ საერთაშორისო მეცნიერებაში დამკვიდრებული ე. წ. ინტერნაციონალური ტერმინების ქართულში გადმოტანას.

მესამე აზრი, რომელიც განავითარეს პროფ. გ. ახვლედიანმა და პროფ. აკ. შანიძემ და შემდეგ პროფ. ი. ჯავახიშვილმაც დაუჭირა მხარი, იმაში მდგომარეობდა, რომ რიგ შემთხვევაში, როცა გაკვირდებოდა ამა თუ იმ ცნების ქართული შესატყვისის მოძებნა, მასალა აეღოთ უცხოური ენიდან და მისთვის ქართული ენის ბუნების შესაბამისად ქართული ელფერი მიეცათ.

ი. ჯავახიშვილმა თავისი შეხედულება ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბა: „ქართული ენის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საჭიროა უპირატესობა მიეცეს ან ძველ მწერლობაში და ენაში უკვე არსებულ შესაფერის სიტყვას, ანდა ქართული ენის კანონებისამებრ შექმნილს ახალს სიტყვას. როცა საჭირო სიტყვა არც ძველს და არც ახალს ენაში არ მოიპოვება და ვერც კომისიამ ვერ შექმნა შესაფერისი ახალი ტერმინი, უნდა იქნას გადმოღებული და გადმოქართულებული უცხო სიტყვა“<sup>2</sup>.

ტერმინოლოგიის შემუშავებელმა კომისიამ ეს აზრი მიიღო სახელმძღვანელოდ.

მუშაობა განსაკუთრებული ინტენსიურობით გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და მთავრობის ორგანოების მხრივ დიდი მხარდაჭერის პირობებში. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კომიტეტი ი. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობითა და იმავე შემადგენლობით 1921 წლის დასაწყისშიც განაგრძობდა მუშაობას. მღივნად ისევ მ. ზანდუკელი იყო.

<sup>1</sup> ქურნ. „განათლება“, 1920, № 2, გვ. 79—80.

<sup>2</sup> იქვე, № 3, გვ. 77.

1921 წელს მიღებულ იქნა სამეცნიერო საბჭოს წესდება, რომელიც აღნიშნულია, რომ სამეცნიერო საბჭო არსდება განათლების კომისარიატთან და მასთან იქმნება სხვადასხვა სექციები და „საპედაგოგო“ სექცია.

ოფიციალურად საქართველოს განსახკომმა თავისი აკადემიური ცენტრი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოდ გარდაქმნა 1921 წლის ნოემბერში სათანადო დადგენილებით. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 21 კაცით.

განსახკომის მიერ განახლებულმა და სავანებო დადგენილებით დამტკიცებულმა სამეცნიერო საბჭომ თავისი მუშაობა დაიწყო 1921 წლის 2 ნოემბრიდან.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი. მას ესწრებოდნენ: გ. ნათაძე, ა. შანიძე, ნ. ჩიგოგიძე, ა. რაზმაძე, ე. ჭოლოშვილი, ა. მგელაძე, მ. კონიაშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. დიდებულიძე, მ. თაქთაქიშვილი, ვ. კაკაბაძე, ა. ბენაშვილი, მ. ზანდუკელი, ს. გორგაძე, გ. კონიაშვილი, შ. ნუცუბიძე.<sup>1</sup>

საბჭოს თავმჯდომარემ (დ. კანდელაკმა) ასე ჩამოაყალიბა სამეცნიერო საბჭოს მიზანი: „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს განათლების კომისარიატს განამტკიცოს, მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს სწავლა-აღზრდის საკითხი და საქმე საქართველოში. იგი არა მარტო სათანადო ორგანო უნდა იყოს, არამედ აქტიური მოქმედიც“.

სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი ერთსულოვნად აირჩიეს თავმჯდომარის ამხანაგად, ანუ აქტიურ თავმჯდომარედ, მდივნად — მ. ზანდუკელი<sup>2</sup>.

გარდა ამისა, წესდების მე-9 მუხლის შესაბამისად საბჭომ თავის საკმიანობის სახელმძღვანელოდ „განრიგების“ შესამუშავებლად აირჩია კომისია.

წესდების მე-2 მუხლის მიხედვით საბჭო გაიყო სამ სექციად:

1. სამეცნიერო-პოლიტიკური, რომელშიც შევიდნენ: გ. ახვლედიანი (მას მიენდო სხდომის მოწვევა), დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ა. შანიძე.

<sup>1</sup> საქ. ორსაცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 1, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე.

2. სამეცნიერო-ტექნიკური: ა. დიდებულებე (რომელსაც მიენდო  
კრების მოწვევა), ბ. ბენაშვილი, ვ. კაკაბაძე, ა. რაზმაძე, ნ. მგელაძე,  
მ. თაქთაქიშვილი, ე. ჯოლოშვილი.

3. სამეცნიერო-პედაგოგიური: გ. ნათაძე (რომელსაც მიენდო  
კრების მოწვევა), ნ. ჩიგოგიძე, გ. კონიაშვილი, ე. ჯოლოშვილი, მ. კონიაშვილი, ს. გორგაძე, მ. ზანდუყელი, ა. შანიძე, ნ. მგელაძე, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე.

გადაწყდა საბჭო შეკრებილიყო კვირაში ერთხელ. ხელშემათობით, შემდეგ საჭიროების მიხედვით, ხოლო სექციები — საჭიროებისამებრ.

შემდგომი სხდომა გაიმართა იმავე წლის 9 ნოემბერს. საბჭო თავისი მეტად კომპეტენტური შემადგენლობის გამო დიდ მუშაობას ეწეოდა სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების დამუშავებისა და გამოცემისათვის რეკომენდაციების შემუშავების საქმეში.

საბჭოს ოქმების გაცნობა ადასტურებს მისი მდივნის — მიხეილ ზანდუყელის დიდ გულმოდგინებას. მას დაწერილებით, ზოგჯერ სტენოგრაფიული სიზუსტით შეჰქონდა ოქმში სხდომაზე გამოსულ საბჭოს წევრთა სიტყვები: სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, თვალი გავადევნოთ ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, კერძოდ ი. ჯავახიშვილის არა მარტო პრაქტიკულ მოღვაწეობას სახალხო განათლების ფრონტზე 20-იან წლებში, არამედ მის თეორიულ შეხედულებებს პედაგოგიის საკვანძო საკითხებზე. საოქმო ჩანაწერების საიმედოობასა და სარწმუნოებას ისიც აძლიერებს, რომ ყოველ მომდევნო სხდომაზე კითხულობდნენ, სათანადო შესწორებები შეჰქონდათ და ამტკიცებდნენ წინა სხდომის ოქმებს, რის შემდეგაც მას ხელს აწერდა თავმჯდომარე — ი. ჯავახიშვილი. მდივანი — მ. ზანდუყელი და სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი. ამდენად ოქმში შეტანილი სიტყვები, ჩვენი აზრით, სრული უფლებით უნდა მივიჩნიოთ პირველ წყაროდ, რომელიც ავტორთა ხელმოწერით არის დადასტურებული.

განსაზრების სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო სასკოლო საკითხებს თავის სხდომაზე ისმენდა და იხილავდა მას შემდეგ, როცა საკითხი ყოველმხრივ განხილული და მომზადებული იყო პედაგოგი-

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, საქმე 1.

კის სექციის მიერ. 1923 წლის 22 თებერვალს საბჭომ თავის სხდომაზე ი. ჭავჭავაძის წინადადებით მიიღო დადგენილება, რომ პედაგოგიკის სექციას მოემზადებინა მოხსენება ძირითად პედაგოგიურ მიმართულებათა, ახალი სკოლის მშენებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, რათა საბჭოს საშუალება მისცემოდა შეემუშავებინა ერთიანი აზრი ძირითად პედაგოგიურ პრობლემებზე.<sup>1</sup>

სამეცნიერო საბჭოს მიერ 1921 წლის 2 ნოემბრიდან 1924 წლის ივლისის ბოლომდე ჰქონია 165 სხდომა. ამ ხნის მანძილზე საბჭოს გაურჩევია 133 სახელწოდების სახელმძღვანელო. აქედან ქართული — 115, რუსული — 7, სომხური — 8, ასურული — 1, ფრანგული — 2. განხილულ სახელმძღვანელოთაგან მოწონებულია 8. ნებადართულ იქნა 72, დროებით ნებადართულ იქნა 11, დაწუნებულ იქნა 42. განხილულ სახელმძღვანელოთაგან პრემირებულ იქნა 3 საუკეთესო სახელმძღვანელო, მაგრამ სახელდობრ რომელი, ამის შესახებ ანგარიშში არ არის მითითებული. ასევე ანგარიშში ნაჩვენებია საბჭოს მიერ ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში ჩატარებული მუშაობა. ანგარიში შედგენილია 1924 წლის 25 სექტემბერს.<sup>2</sup>

განსახკომის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით 20-იანი წლების დასაწყისში გამოიცა პროფ. კ. კეკელიძის — „ძველი მწერლობის ისტორია“, პროფ. დ. უზნაძის — „საბერძნეთის ისტორია“, შაფაქიძის — „თვალსაჩინო გეომეტრია“, მასწავლებელთა ჯგუფის — „ჩვენი სკოლა“ (I და II ნაწილები), პროფ. შ. ნუცუბიძის — „ქეშმარიტების პრობლემა“ (ქართულ და გერმანულ ენებზე)<sup>3</sup> და სხვ.

სამეცნიერო საბჭო გზადაგზა ამოწმებდა და ინფორმაციებს იმენდა ცალკეული სექციების მუშაობის შესახებ. ერთ-ერთ სხდომაზე განხილვისა და განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა პედაგოგიური სექციის მუშაობა. ეს გასაგებიცაა, რადგან სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში წამყვანი ადგილი სწორედ პედაგოგიური სექციის მიერ განხილულსა და წარმოდგენილ მასალებს ეჭირა, სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში სწორედ ამ სექციას შეჰქონდა პედაგოგიური ნაკადი.

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 61, გვ. 107—108.

<sup>2</sup> იქვე, ს. 90. გვ. 1—2.

<sup>3</sup> იქვე, საქმე 1.

პედაგოგიური სექციის თავმჯდომარედ, კომისრის ბრძანებით, დაინიშნა კომისრის პირველი მოადგილე მარიამ ორახელაშვილი, მაგრამ სექციამ თავის პირველ სხდომაზე, რომელიც მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, აირჩია ფაქტობრივ თავმჯდომარე და მდივანი. პირველმა სხდომამ თავმჯდომარედ მიხეილ ზანდუკელი აირჩია, მაგრამ მეორე სხდომაზე (1921 წლის 8 დეკემბერს) მ. ზანდუკელი მისი თხოვნის საფუძველზე (იგი ძალზე გადატვირთული იყო.) თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს და პედაგოგიური სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. უზნაძე, ხოლო მდივანად — ს. გორგაძე<sup>1</sup>.

სამეცნიერო საბჭო თავის მუშაობაში გარკვეულ ადგილს უთმობდა პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად რეკომენდაციის საკითხებსაც, მაგრამ უმთავრესად საბჭოს საგამომცემლო პორტფელში ნათარგმნი ლიტერატურა შემოდიოდა. 1923 წლის 1/II-ის სხდომაზე<sup>2</sup> განიხილეს საკითხი სოკოლოვის „პედაგოგიურ სისტემათა ისტორიის (ტ. მორიდან კანტამდე)“ თარგმანის 11 ნაწილის შესახებ. ტექსტი დასკვნისათვის გადაეგზავნა პედაგოგიის სექციას. ამ წიგნის თარგმანს (მთარგმნელი ნადარია) რეცენზიები გაუკეთეს დ. უზნაძემ და ს. გორგაძემ. ამ რეცენზიათა საფუძველზე საბჭომ ეს წიგნი მიიღო დასაბეჭდად<sup>3</sup>.

საბჭომ რეკომენდაცია მისცა ი. გომელაურის მიერ თარგმნილი წიგნის — პერტილი — „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი“ — დაბეჭდვას<sup>4</sup>.

სამწუხაროდ, 20-იანი წლები ძალზე ღარიბია ორიგინალური პედაგოგიური ლიტერატურით. სამეცნიერო საბჭოს არც ერთ სხდომას არ განუხილავს პედაგოგიის თეორიისა და ისტორიის დარგში არც ერთი ორიგინალური ნაშრომი. უნდა ვიფიქროთ, რომ პედაგოგიაში იმ წლებში არც შექმნილა სერიოზული შრომა. მხოლოდ რამდენიმე ბროშურა იქნა გამოცემული და მათი მიკვლევაც ძალზე ცირს. ამიტომ პედაგოგიური აზრის შესახებ იმდროინდელ საქართველოში უნდა ვიმსჯელოთ პერიოდულ პრესასა და არქივში შემონახული მასალების მიხედვით.

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, საქმე 4.

<sup>2</sup> იქვე, ს. 61.

<sup>3</sup> იქვე,

<sup>4</sup> იქვე, ს. 63.

1923 წლის 8 თებერვალს სამეცნიერო საბჭომ განიხილა<sup>1</sup> პედაგოგიური სექციის მუშაობის საკითხი.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა გ. კონიაშვილი. გაზაზავდა საბჭოს მუშაობის დიდ მნიშვნელობას როგორც სატერმინოლოგიო საქმიანობის, ისე წმინდა პედაგოგიური პრობლემების მეცნიერული შესწავლა-გადაწყვეტის საქმეში, გ. კონიაშვილი მოითხოვდა, რომ საბჭოს თავისი მუშაობა გადაეტანა ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც ყოველდღიურად წარმოიშობოდა ხოლმე ახალ-ახალი საკითხი და საბჭოს მონაწილეობის გარეშე წყდებოდა. ხელმძღვანელობა გაეწია ქვეყნის კულტურული და მეცნიერული ცხოვრებისათვის. იგი ადარებს საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას რუსეთის ანალოგიური საბჭოს მოღვაწეობას და ის დასკვნა გამოატყეს, რომ იქ რუსეთში საბჭო მეტ აქტიურ როლს ასრულებს, ვიდრე ჩვენში და ამას იმით ასაბუთებს, რომ რუსეთში საბჭოს მეტი უფლებები აქვს მინიჭებული და უკეთეს პირობებშიაც უხდება მუშაობა.

საბჭოს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მომხსენებლის აზრით, საჭიროა შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა: „1. გამოარკვიოს, ჯერ თეორიულად, წევრთათვის მაინც ბუნება და მოთხოვნილება ახალი სკოლისა, რომ სახელმძღვანელოს გარჩევის დროს ყოველმა საბჭოს წევრმა — რეცენზენტმა ერთგვარი მოთხოვნილება წარუდგინოს ავტორს, რომელიც გადამუშავების დროს იხელმძღვანელებს და რასაკვირველია უფრო ადრე მოგვეცემს სახელმძღვანელოს. 2. ამისათვის საჭიროა პერიოდულად მაინც მოხსენების სახით ვეცნობოდეთ ახალი პედაგოგიკის საკითხების შესახებ ლიტერატურას, რომელიც საქმარისად საგრძნობლად გამოდის რუსულ ენაზე რუსეთში და ჩვენამდისაც აღწევს და აგრეთვე ევროპულ ენებზე. 3. სასურველია საბჭომ აგრეთვე ისარგებლოს საცდელ-საჩვენებელი სკოლების ცდით. 4. სასურველია, რომ როდესაც ხდება წრილობები, სამეცნიერო საბჭო აკეთებდეს მოხსენებას თავის მოქმედებაზე და მომავალ გეგმებზე. 5. აუცილებელი საჭიროა საბჭოს ნამუშევარი, როგორც რეცენზიები სახელმძღვანელოთა შესახებ, ისე სატერმინოლოგიო, საორთოგრაფიო და სხვა მუშაობა იბეჭდებოდეს საზოგადოების საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ. ამ უკანასკ-

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, საქმე 61, გვ. 58.



ნელი მიზნისათვის შეიძლება საბჭომ ისარგებლოს განათლების მუშაკთა სახლის ორგანოთი, სადაც მას შეიძლება ექნეს მთელი განყოფილება“<sup>1</sup>.

მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის ორგანოს „ნა პუტიახ კ ნოვოი შკოლე“ ძირითადი მიმართულებანი, კერძოდ მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ყურნალს „აზრად აქვს ისარგებლოს რუს მასწავლებელთა პედაგოგიური ცდით ახალი სკოლის საფუძვლების ძიებაში“.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც წამოყენებულ იქნა შემდეგი მოსაზრებები:

„ის მუშაობა, რომელსაც საბჭო აპირებს ამჟამად, ტერმინოლოგიის შემუშავება, სახელმძღვანელოთა გარჩევა, რომ ჩვენს გაეროვნებულ სკოლას ჩქარა ჰქონდეს ყველა საგნებისათვის საჭირო წიგნი, მეტად საჩქარო და საჭირო საქმეა. ამ მიზნის მიღწევის დაჩქარებას განსაკუთრებით ტერმინოლოგიის შემუშავებას უნდა მოანდომოს საბჭომ დიდი უმეტესი თავისი ენერგიისა. სასურველია, აუცილებელი საჭიროც არის, რომ მთელი ის მოხსენებები და მასალები, რომელთაც საბჭო ისმენს, დაბეჭდილი იყოს. ამ მიზნისათვის სასურველი და საჭიროც არის საკუთარი ორგანო ჰქონდეს თვით საბჭოს თავის მუშაობის გამოსატანად საზოგადოებაში. სხვა რომელიმე დაწესებულებასთან საზიარო ორგანოს ქონა არ არის სასურველი, ვინაიდან მიზანს ვერ მივაღწევთ, მრავალი დაბრკოლებები წამოგველოდება და მთლიან შთაბეჭდილებას ვერ მიიღებს საზოგადოება საბჭოს მუშაობაზე. ყრილობებზე საბჭოს მონაწილეობის მიღება საჭიროა, მხოლოდ საბჭო უნდა იყოს ხოლმე მოწვეული ამ შემთხვევებისათვის მმართველი ორგანოს მიერ“.

ამით კამათი არ დამთავრებულა. სხდომაზე აღძრული საკითხების ირგვლივ კამათი გაგრძელდა იმავე წლის 22 თებერვლის სხდომაზე, რომელმაც თავისი დადგენილება ოქმში შემდეგნაირად გააფორმა: „მსჯელობის შემდეგ საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება: სასურველია მოსმენილ იყოს საერთო თეორიული მოხსენება ძირითადი პედაგოგიური პრინციპების შესახებ: 1. რა ხასიათის და

<sup>1</sup> საქ. ორსმსკა, ფ. 300, ა. 3, ს. 61.

მიმართულების უნდა იყოს ჩვენი სკოლა, 2. რა და რა ასაკისათვის როგორი მეცადინეობაა საჭირო და ა. შ.<sup>1</sup>.

ამ დადგენილების საფუძველზე მართლაც საბჭომ მოისმინა ცხარე კამათის საგნად აქცია პედაგოგიკის თეორიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი, მათ შორის სწავლების კომპლექსური სისტემის საკითხი, რომლის განხილვაც დაიწყო 1923 წლის პირველი სექტემბრის სხდომაზე<sup>2</sup>.

აღნიშნულ სხდომას მოხსენებითი ბარათი<sup>3</sup> წარუდგინა გ. კონიაშვილმა, რომელმაც სამეცნიერო საბჭოს გააცნო იმდროისათვის პედაგოგიკის თეორიის სიახლენი. გ. კონიაშვილი აღნიშნავდა, რომ სკოლის რეფორმა ტარდება იმ თვალსაზრისით, რომ „სკოლის პირობებში, უმთავრესად დაბალ ჯგუფებში, ცალკე სასწავლო საგნები არ უნდა არსებობდნენ, ხოლო ჯერ-ჯერობით, სანამ ისინი მაინც არსებობენ, მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს ორგანული კავშირი. მცირე კლასებში ეს მოთხოვნილება ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებულიც არის. ბავშვებს აწვდიან ე. წ. კომპლექსურ ცოდნას. ცდილობენ მისცენ მათ ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა დარგში ცოდნის ელემენტები. ამაში გამოიხატება კომპლექსური მეთოდის ძირითადი მოთხოვნილება. ამასთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს პედაგოგთა წრეებში და დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პედაგოგიურ ლიტერატურაში საკითხს ევლევია-ძიების საფუძველზე სწავლების აგების, აგრეთვე ე. წ. დალტონური გეგმით სკოლაში მუშაობის საკითხს.

უნდა ვიფიქროთ, — განაგრძობს გ. კონიაშვილი, — რომ განათლების კომისარიატი, რომელიც გასულ ზაფხულს შეუდგა პროგრამების დამუშავებას აღნიშნული პრინციპების მიხედვით, გადაუგზავნის სამეცნიერო საბჭოს ყველა საჭირო მასალას, მაგრამ ამასთან დამოუკიდებლად, რომ მასალის მიღების მოლოდინში ძვირფასი დრო არ დაკარგოს, პედაგოგიური სექცია ახლაც უნდა შეუდგეს აღნიშნული საკითხის განხილვას<sup>4</sup>.


შეხვედულებები კომპლექსების შესახებ, რომელიც გ. კონიაშ-

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 61, გვ. 107, 108.

<sup>2</sup> იქვე, ს. 64, გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 25—26.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 24.



ვიღმა ზოგადი სახით წარუდგინა საბჭოს ვასაცნობად, ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი სახით ჩამოყალიბებული და ცნობილი თართო პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის. სწავლების ამ სისტემის შესახებ მსჯელობა ჯერ კვლისებში მიმდინარეობდა და საფუძველი ეყრებოდა საზოგადოებრივ აზრს. ამიტომ სამეცნიერო საბჭომ ამ სხდომაზე დაავალა გ. კონიაშვილს შემდეგი გაფართოებული სხდომისათვის მოემზადებინა ვრცელი მოხსენება ამ საკითხზე და იგი ფართო სჯა-ბაასის საგანი გაეხადა, რათა სამეცნიერო საბჭოს თავისი დასკვნა მიეცა მისი სკოლაში დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ.

გ. კონიაშვილის წინადადებით საბჭომ მიიღო დადგენლება: „საჭიროა საბჭომ განსაკუთრებით მისმა პედაგოგიურმა სექციამ გააცხოველოს მუშაობა თანამედროვე პედაგოგიური მიმართულების ძირითადი საკითხების შესახებ მუშაობით. საჭიროა საბჭოს ჰქონდეს გარკვეული შეხედულება ახალ სკოლაზე და მასში მიღებულ ძირითად მეთოდებზე, ვინაიდან ეს შეხედულება აუცილებელია მიღებულ იყოს საბჭოს წევრთა მიერ ამა თუ იმ საგნის სახელმძღვანელოს განხილვის და შეფასების დროს“<sup>1</sup>.

სხდომის თავმჯდომარემ ი. ჯავახიშვილმა მხარი დაუჭირა გ. კონიაშვილის წინადადებას და თავის მხრივ დაუმატა, რომ „სანამდის თეორიულად საბოლოოდ გადაწყვეტდეს საბჭო ამ საკითხებს, საჭიროა რამდენიმე სკოლაში მოხდენილ იქნას ექსპერიმენტები და დაკვირვებანი, რაც დახმარებას მოგვეცემს უფრო საფუძვლიანად გადაწყდეს ესა თუ ის პედაგოგიური საკითხი“. მსჯელობის შემდეგ სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე პედაგოგიის სექციას დაევალა: „შეისწავლოს თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების ძირითადი პრინციპები, ახალი პროგრამები, დააკვირდეს სკოლაში მათ განხორციელებას და შედეგები მოახსენოს საბჭოს.“

მართლაც, ეს საკითხი მომზადდა და წინასწარ შედგენილ იქნა გ. კონიაშვილის მოხსენების თეზისები თემაზე: „ახალი სკოლა და სწავლების კომპლექსური მეთოდის იდეა“, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორი პოზიცია ეჭირა განსახკომს ამ მეთოდის შესახებ და რა ღონისძიებების გატარებას ფიქრობდა იგი ამ მიმართულებით.

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ა. 3, ს. 24, გვ. 15.

ამ თეზისების საფუძველზე სამეცნიერო საბჭომ მოისმინა გ. კონიაშვილის მოხსენება 1923 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე.  
გ. კონიაშვილის მოხსენების თეზისების მოკლე შინაარსი ასეთია:

1. „ძველი სკოლის (სწავლების, პასიური სმენის და უძრავი ქლომის) საწინააღმდეგოდ „ახალი“ სკოლა ცდილობს გამოსავალ წესად ბავშვის ფსიქოლოგიური თვისებები აილოს (შეუწყვეტელი აქტიობა, მოძრავ-მოქმედებიაობა, ... უდიდესი როლი გარე გრძნობათა ორგანოებისა და ინსტიქტებისა; აზროვნების კონკრეტული ხასიათი, აქტიური ყურადღების სუსტი განვითარება და სხვ.)“.

2. აღმზრდელობით მუშაობას ახალი სკოლა საფუძვლად უდებს: ა) ბავშვის აქტიურობას (თვითმოქმედება, ფიზიკური შრომა, ლაბორატორიული მეცადინეობა და სხვ.); ბ) სკოლის კავშირს გარემო ცხოვრებასთან (ოჯახი, საზოგადოება, ბუნება); გ) მუშაობის ინდივიდუალიზაციას; დ) მკიდრო კავშირს საგანთა შორის; ე) სოციალურ გრძნობათა განვითარებას და სხვ.

3. სასწავლო საგანთა შორის კავშირი ხორციელდება კომპლექსური სწავლებით. ეს იდეა ახალი არ არის. მას დიდი ხანია რყენებენ რუსეთის სკოლებში.

4. კომპლექსური მეთოდი გამოყენებულია: 1. ბუნებისმეტყველებაში — ბიოლოგიური მეთოდის სახით; 2. მათემატიკაში — ე. წ. ფუზიონიზმის სახით. 3. მშობლიურ ენაში, იმ მოთხოვნით, რომ გრამატიკა ლიტერატურულ და ყველა სხვა საკითხზე მასალასთან იყოს შერწყმული; 4. გეოგრაფიაში — მასალის ლანდშაფტებად დალაგებით და სხვ.

„5. კომპლექსების იდეა საკმაოდ ნათლად აქვს გამოხატული ე. ე. რუსოს იმ მოთხოვნილებაში, რომ სწავლა ბავშვის პრაქტიკული მეცადინეობის და მათ პრაქტიკულ მოთხოვნილებებზე უნდა იყოს აგებული (შრომის პრინციპი), ბავშვი თვითონ ამზადებს საჭირო იარაღს, უელის ცხოველებს, მუშაობს ბოსტანში და ყანაში, აკეთებს შენობას. აქ ეცნობა ის სხვადასხვა ხელოსნობას და იძენს იმ თეორიულ ცოდნას, რომელიც ბავშვს დახმარებას გაუწევს პრაქტიკული მუშაობის დროს (არითმეტიკა, ფიზიკა, ბუნებისმეტყველე-

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 64, გვ. 63. თეზისები დაწერილია შეაზზე გაკეცილ თაბახის ქაღალდის უხაზო ფურცლებზე სამი გვერდის მოცულობით. ხელმოწერა „გ. კონიაშვილი, ნოემბერი, 1923 წ.“

ბა. გეოგრაფია, ასტრონომია)“. პესტალოცის აზრით, საჭიროა შრომის დაკავშირება ბავშვის რეალურ ინტერესებთან. მუშაობა ბაღში, ბოსტანში, მინდორში შესაძლებლობას გვაძლევს ერთმანეთთან შევეერთოთ ელემენტარული სწავლებისა და ნებისყოფის საღ ზნეობრივ ნიადაგზე აღზრდის ამოცანები; „პერბარტისათვის აღზრდის უმაღლესი მიზანი, რომელსაც სწავლებაც კი უნდა ემორჩილებოდეს, ზნეობრივი აღზრდაა. ზნეობრივი განათლების გარეშე სწავლება უმიზნო საშუალებაა; ხოლო ზნეობრივი აღზრდა სწავლების გარეშე არის საშუალებამოკლებული მიზანი“.

ფრებელის აზრით, სკოლა საზოგადოების ჩანასახია. აზროვნების, ნებისყოფისა და ხასიათის განვითარების საფუძველი ბელგარყოლობაა: აღზრდას პრაქტიკული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ყოველი საგანი ან მასალა იმდენად უნდა იყოს სკოლაში შემოტანილი, რამდენადაც მას ბავშვი გამოიყენებს.

ამა თუ იმ სახით კომპლექსური სწავლების იდეა წამოყენებულია თანამედროვე მრავალი პედაგოგის მიერ.

6. კომპლექსური სწავლების იდეა დასაბუთებულია საბჭოთა შრომის სკოლის იდეოლოგიის ბლონსკის წიგნში: „შრომის სკოლა“...

„7. კომპლექსების იდეა საზოგადოდ დაკავშირებულია პედაგოგიური აზროვნების პროგრესულ მიმდინარეობასთან, მაგრამ მისი არსი, კონკრეტული ფორმები და გამოყენების ფარგლები, როგორც სამუშაო მეთოდისა, ჯერაც არ არის გამოარკვეული, საბოლოოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. ამ საკითხის გადაწყვეტა მომავლის საქმეა და შეიძლება მივიღოთ როგორც შედეგი პედაგოგთა ფართო წრეების კოლექტიური შრომისა. ყოველ შემთხვევაში აძთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური სწავლების იდეაში უეჭველად ჩამალულია საღი დასაბამი“.

ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა გ. კონიაშვილის თეზისების შინაარსი, რათა მკითხველისათვის ნათლად გვეჩვენებინა, თუ რა ბუნდოვანი წარმოდგენა სუფევდა ოციანი წლების დასაწყისში პედაგოგიის თეორიის ძირითადი საკითხების გაგებაში. თეზისებიდან ჩანს, რომ კომპლექსური სისტემების თეორიულ დასაბუთებას ავტორი ეძებს პედაგოგიის კლასიკოსთა შეხედულებებში, უკრიტიკოდ ეყიდება ზოგიერთი მათგანის წვრილბურჟუაზიულ-პრაგმატისტულ შეხედულებებს და ცდილობს ქვეყნის კონკრეტულ სოციალურ-ეკო-

ნომიკური და პოლიტიკური ვითარებით ახსნას მისი ჩვენში დანერგვის აუცილებლობა.

ზემოთ მოტანილი „თეზისების“ შინაარსის დალაგება და მოტანილ შეხედულებათა ციტირების სტილი გვაფიქრებინებს, რომ იგი დაყრდნობია ამ საკითხზე არსებულ რუსულ წყაროებს, კერძოდ, ჩვენი ვარაუდით იგი ხელმძღვანელობდა ი. მამონტოვის წიგნით: „კომპლექსური სწავლების შესახებ“, რომელიც რუსულ ენაზე იმ დროისათვის ახალგაშობილი იყო.

გ. კონიაშვილს თავისი აზრი კომპლექსური სწავლების შესახებ ბოლომდე არ უთქვამს, რადგან მომზადებული ჰქონდა მეორე მოხსენება, რომლის თეზისებიც წარუდგინა სამეცნიერო საბჭოს. თეზისები დასათაურებულია „სწავლების კომპლექსური მეთოდების“ სახელწოდებით. ამ მოხსენებაში იგი აყალიბებს სწავლების კონკრეტულ ამოცანებს კომპლექსურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. გავეცნოთ მისი მოხსენების თეზისებს, რომელიც ხელითაა დაწერილი და შედგენილია 1923 წლის 12 ნოემბერს.

„1. კომპლექსური მეთოდის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება, თუმცა მისი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საფუძველი ყველასათვის ერთი და იგივეა“.

2. ამ მეთოდის მომხრეები შეუწყნარებლად მიიჩნევენ სასწავლო საგნების ამჟამად არსებულ ერთმანეთისაგან დაშორებულად სწავლებას. მათი აზრით, სკოლის მთელი მუშაობა ე. წ. კომპლექსების შესწავლაზე უნდა იყოს აგებული.

3. კომპლექსი წარმოადგენს ისეთ მოვლენათა ერთობლიობას, რომელთა შორის ორგანული კავშირი არსებობს და საფუძველად უდევს ერთი საერთო მთავარი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები შეიძლება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს ეკუთვნოდნენ“.

4. სკოლაში სწავლების აგების შესახებ არის სხვადასხვა აზრი. ა) სწავლის საფუძველს სკოლაში უნდა შეადგენდეს ერთი ან ორი მთავარი (ე. წ. ღერძული) საგანი (მაგ. ბუნებისმეტყველება, საზოგადოების მეტყველება) და ამ საგნების გარშემო უნდა იყოს შეჯგუფებული ცოდნის სხვადასხვა დარგი. ბ) ძირითად საფუძველს, რომელსაც სწავლება უნდა დაეყრდნოს, უნდა წარმოადგენდეს შრომა. ზოგიერთი პედაგოგის აზრით, აქ უნდა ვიგულისხმოთ თვით ბავშვის შრომა, მაგრამ ზოგიერთი ფიქრობს, რომ აქ მხედველო-

ბაში უნდა ვიქონიოთ ადგილობრივი მოსახლეობის შრომა-მოქმედიანობის შესწავლა როგორც წარსულში, ისე აწმყოში. ესევე უნდა ვისწავლოთ ესაჭიროება არა მეცადინეობათა კონცენტრაცია რაიმე ერთი ხარისხის გარშემო, არამედ საგანთა შორის.

5. კომპლექსური მეთოდი ზოგს უფრო ვიწროდ ესმის, ისინი კომპლექსებში გულისხმობენ მასალის კომპლექსურად დალაგებას საგნების ფარგლებში და ამ კომპლექსების შესწავლას. ამ შემთხვევაში სკოლაში რჩება როგორც ცალკე საგნები, ისე მათი სისტემატური შესწავლა.

6. კომპლექსები ერთმანეთისაგან განირჩევიან თავისი მოცულობით.

7. ყოველი კომპლექსი სხვადასხვა დარგის ცოდნას შეიცავს და მის დამუშავებას საფუძვლად უნდა ედოს ბავშვის პრაქტიკული საქმიანობა (ხატვა, ძერწვა, ქაღალდის გამოჭრა, მოდელების გაკეთება და სხვ.). ბავშვთა თვითმოქმედება გამოცხადებულია კომპლექსების შესწავლის აუცილებელ პირობად. (აქ სანიმუშოდ მოტანილია ორი კომპლექსი „გლეხის ეზო“ და „ბამბის ქარხანა“).

8. თქმა იმისა წინასწარ, თუ რა ადგილს დაიკავენ სკოლაში ეს სისტემა, ძნელია, მაგრამ მას აქვს საღი მიმართულება და გარკვეულ გავლენას მოახდენს სწავლების ბედ-იღბალზე.

9. არსებულ პირობებში, როცა ჯერ კიდევ სკოლებში საგნობრივი სწავლება გრძელდება, მას მისაღებად მიიჩნია შემდეგი დებულებების განხორციელება: ა) სასწავლო საგანთა შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი, „რომელიც განისაზღვრება ბავშვთა ფსიქოლოგიური თვისებებით და სწავლა-აღზრდის საერთო მიზნით“. ბ) „კომპლექსური სწავლება შესაძლებელ ფარგლებში უნდა ცალკე შემთხვევებით ხორციელდებოდეს. საკომპლექსო თემებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ფაქტები ბავშვთა ცხოვრებიდან, მათი დაკვირვებიდან, შრომის პრინციპებიდან, გარემო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფაქტიდან და სხვ.“ გ) როგორც წესი, ამ მეთოდის გამოყენებას შესაძლებლად თვლის უმცროს კლასებში, „თუმცა აქაც შეიძლება გამოიყენოს კვირის ადგილი (მაგ. მათემატიკა შრომის სკოლის პირველი ჯგუფებისათვის)“. დ) ყოველი საკითხი, როდესაც ამის შესაძლებლობა არის, განხილული უნდა იქნას იმ თვალსაზრისით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ადამიანისა და მისი მოქმედებისათვის. ე) ცხოვრებასთან კავშირის

განმტკიცების მიზნით, სწავლებაში საჭიროა გამოყენებულ იქნეს ბავშვების გამოცდილება, რომელსაც ისინი სკოლის გარეშე იტენენ მათი დაკვირვებები და ინტერესები. ე) იმისათვის, რომ ბავშვებმა უშუალოდ მიიღონ წარმოდგენები, სამყაროს მოვლენებზე და საკუთარ გრძნობებზე დაყრდნობით მიიღონ შთაბეჭდილებანი, სასურველია სასწავლო მასალა დალაგდეს სეზონური პრინციპის საფუძველზე“...<sup>1</sup>

ეს თეზისები, როგორც აღენიშნეთ, გათვალისწინებული იყო იმ მოხსენებისათვის, რომელიც გ. კონიაშვილს უნდა მოეხსენებინა სამეცნიერო საბჭოსათვის, რათა სამეცნიერო საბჭოს წევრები საქმის კურსში შეეყვანა და მათ საშუალება მისცემოდათ გარკვეული აზრის შემუშავებისათვის. გ. კონიაშვილის ამ თეზისებში, შეიძლება ითქვას, თვით განსახკომის აზრი და პოზიცია არის გადმოცემული, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ თვით მომხსენებლისათვისაც კი ყველაფერი ცხადი და ნათელია. გასაგებია თეზისების საერთო სულისკვეთება, კერძოდ ის, რომ სკოლაში ცალკეული საგნები ერთმანეთთან კავშირში უნდა ისწავლებოდეს.

საგანთა შორის კავშირის ამ მოთხოვნას შემდგომშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და მან საგანთა შორის კავშირის დიდაქტიკური პრინციპის სახელწოდებაც კი მიიღო, მაგრამ ამ სასარგებლო იდეის იქით მის პრაქტიკულ განხორციელებაში საგნები ერთმანეთში ითქვიფებოდა, იშლებოდა საზღვარი ცალკეულ სასწავლო დისციპლინებს შორის, როგორც ამის შესახებ ფარულად თუ აშკარად დაბეჭივებით აღნიშნავდნენ საღი პედაგოგიური აზრის წარმომადგენლები, პედაგოგები და მეცნიერები.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, საგანთა შორის კავშირის კომპლექსების სახით განხორციელება ძალზე ავიწროებდა, ზღუდავდა და აცარიელებდა სწავლების შინაარსს და აქედან გამომდინარე მოსწავლეთა ცოდნას. სკოლის შემდგომმა პრაქტიკამ, როგორც ამას მოწინავე პედაგოგები და მეცნიერები ვარაუდობდნენ, არ მიიღო სწავლების ეს სისტემა და, როგორც ვიცით, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი ღადგენილებით იქნა უარყოფილი. მაგრამ მის ოფიციალურ უარყოფამდე, შექმნილი ვითარების გასა-

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 200, ა. 1, საქმე 57, გვ. 8—9.



თვალისწინებლად ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ხსენებული სამეცნიერო საბჭოს სხდომის კიდევ რამდენიმე რეკლამა.

სამეცნიერო საბჭომ ამ საკითხის განხილვას რამდენიმე სხდომა მიუძღვნა. გ. კონიაშვილის მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიმართა მსჯელობა ამ სისტემის ავტარგაიანობის შესახებ. 1923 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე ი. ჯავახიშვილმა განაცხადა: „კომპლექსური მეთოდი მოგვაგონებს ძველ ენციკლოპედიურ მეთოდს. ყველა საგნის დაკავშირებას შეიძლება მეტად ხელოვნური და უსიცოცხლო ხასიათი მიეცეს, საგნის სწავლებამ დაკარგოს თავისი სახე და მნიშვნელობა. ბავშვები, ჩაბმული ამ კომპლექსურ მეთოდით სწავლებაში, ბევრ საგანში უვიცად დარჩებიან. მართალი არ არის, რომ ბავშვებისათვის დამალავი და უინტერესოა ერთი და იგივეს რამდენჯერმე განმეორება, პირიქით, სახალისოა და სიამოვნებით იმეორებენ. ასე რომ, თუმცა წამოყენებული მეთოდი და მისი მოსაზრებები მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ მანამ საკითხი გადაწყდება, საჭიროა გავეცნოთ რა პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიეს იმ სასწავლებლებმა, სადაც ეს მეთოდი ტარდება ჩვენში, როგორ არის საზღვარგარეთ, და როდესაც გვექნება მასალა, მაშინ ვიმსჯელოთ“<sup>1</sup>.

დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის ეს საგულისხმო შეხედულებები, რომლებიც დღემდე ცნობილი არ იყო ფართო საზოგადოებრიობისათვის, ნათელს ფენს იმ დიდ ყურადღებასა და ზრუნვას, რასაც იგი განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე წლების მანძილზე მუშაობის პერიოდში იჩენდა ქართული სკოლისა და საბჭოთა სახალხო განათლების სრულყოფილი სისტემის დამკვიდრებისათვის. ი. ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, იყო ერთი იმ პირველთაგანი, რომელმაც მართებული შეფასება მისცა კომპლექსურ მეთოდს და სწორად განკვირბა მისი უარყოფითი შედეგები მოსწავლე ახალგაზრდობის მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით შეიარაღების საქმეში.

რამდენადაც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მოკლე საოქმო ჩანაწერი საშუალებას გვაძლევს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ი. ჯავახიშვილი, როგორც საქართველოს ისტორიის უბადლო მკვლევარი და პირუთვნელი მემკვიდრე, კარგად იცნობდა არა მარტო საქარ-

<sup>1</sup> ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 64, გვ. 54.



თველოს, არამედ მსოფლიოს ყველა კულტურული ერის პედაგოგო-გიურ ტრადიციებს. მაგრამ მარტო ზემოთ მოტანილი მეთოდებით როდი ამოიწურება ი. ჯავახიშვილის შეხედულებები საბჭოთა სკოლის ტკივილებისა და პედაგოგიური პრობლემების შესახებ. სამეცნიერო საბჭოს შემდგომ სხდომებზე კვლავ გაგრძელდა კამათი და ერთგვარი დისკუსია გ. კონიაშვილის მოხსენებაში დასმული პედაგოგიური პრობლემების ირგვლივ.

კერძოდ, 1923 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე<sup>1</sup> კომპლექსური მეთოდით სწავლების გამოცდილების შესახებ მოსმენილ იქნა სახელდობრ ის მოხსენება, რაზეც ი. ჯავახიშვილმა ორი კვირით ადრე შეიტანა წინადადება. დასახელებულ ოქმში ამ საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „სხდომამ მოისმინა დამატებითი მოხსენება კომპლექსური მეთოდის შესახებ, თუ როგორ ტარდება ეს მეთოდი I შრომის სკოლის პროექტში და რა შედეგებს მიაღწია ხსენებული სკოლის პედაგოგთა კორპორაციამ“.

მ. ზანდუკელმა<sup>2</sup> აღნიშნა, რომ I სკოლის პედაგოგიურმა კორპორაციამ კომპლექსური სისტემა თავისი უკიდურესი ხასიათით არ გაიზიარა. მოხსენებიდან ჩანს, რომ სკოლამ პირველ საფეხურზე ძირითადად ამ მეთოდის საფუძველზე ააგო მუშაობა, მაგრამ „მან ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა მთელი კურსი ამ ოთხწლედისა ამოწუროს კომპლექსების სახით“. კომპლექსური სისტემით მუშაობის დროს შემჩნეული იყო, რომ ცალკეული ჯგუფების ცოდნაში განჩნდა ხარვეზები კითხვისა და წერის მექანიზმის განვითარებისა და ანგარიშში გაწაფვის დარგში. ამ ხარვეზის შესავსებად, აღნიშნა მ. ზანდუკელმა, „პარალელურად ამ ძირითად მეთოდისა სწარმოებს თეორიული გაკვეთილები, რათა საჭირო ცოდნა ასაქისა და ჯგუფის მიხედვით ბავშვებმა უეჭველად მიიღონ“.

მ. ზანდუკელი ერთგვარი მორიდებული ტონით აღნიშნავს, რომ შეიძლება ეს გარემოება ჩვენი მიზეზით აიხსნებოდესო. მან განაცხადა: ეს „შეიძლება შედეგი იყოს იმისი, რომ ჯერ ჩვენც ვერ გავერკვიენით სავსებით ახალ მეთოდში და ერთგვარი ეჭვით, ყოველ

<sup>1</sup> საქ. ორსმესა, ფ. 300, ა. 3, ს. 64, გვ. 54.

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მ. ზანდუკელი იყო განსახკომის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი (საშემართველოს უფროსის მოადგილე), განყოფილების უფროსი, სამეცნიერო საბჭოს მდივანი, I სკოლის დირექტორი, უნივერსიტეტის ლექტორი — პროფესორი, პროფესორთა საბჭოს წევრი და ა. შ.

შემთხვევაში დიდი სიფრთხილით ვეპყრობოდით. შედეგის გამოკვეყნებისათვის ჯერ არა გვაქვს საკმარისი დაკვირვებანი, რადგანაც დრო მეტად ცოტაა, რაც ასეთს ცდას ვახდენთ. შედეგის შესახებ გარკვეული აზრის თქმისათვის საჭიროა რამდენიმე წელიწადი, ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპლექსური მეთოდით სარგებლობამ გამოიწვია ბავშვებში შედარებით მეტი ხალისი, ინტერესი და სურვილი სწავლა-მუშაობისა“.

კომპლექსური სისტემის სასარგებლოდ საბჭოს წევრმა გ. ნათაძემ აღნიშნა, რომ კომპლექსებით სწავლების უპირატესობა ის არის, რომ აქ არ არის საგნებად დაყოფა, რაც ჩვენ, უფროსებსაც კი გვიტირს. მოვლენათა მექანიკურ დაყოფას ძველ სკოლაში მივყავდით ზეპირობამდე, კომპლექსების პირობებში კი ბავშვები ცოდნას გადაბმულად ღებულობენ. ასეთი იყო გ. ნათაძის მოსაზრება.

ერთობ მისანიშნებელია ან. ბენაშვილის აზრი. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ბრწყინვალე ქართველი მეცნიერის პედაგოგიურ აღლოს. იგი სავესებით სწორად აღნიშნავდა, რომ კომპლექსებით სწავლების პირობებში ცოდნის სისტემატური ხასიათი იკარგება, ხშირად დაკვირდებათ ექსკურსიების მართვა, ხშირი ექსკურსია გართობად გადაიქცევა, ამის გამო მთელი სწავლა გართობის ხასიათს მიიღებს. გართობა და სიმხიარულე მეტი კი იქნება, მაგრამ ცოდნა ნაკლები იქნება, — აღნიშნავს ან. ბენაშვილი.

თავიანთი აზრი გამოთქევს გ. ახვლედიანმა, ს. გორგაძემ, ს. ქურდიანმა და სხვებმა, მაგრამ ოქმმა მათი აზრები ვერ შემოგვინახა. სამაგიეროდ ოქმში ვრცლად არის გადმოცემული სხდომის თავმჯდომარის პროფ. ი. ჯავახიშვილის სიტყვა, რომლის შინაარსსაც ჩვენ მთლიანად, უცვლელად მოვიტანთ: „კომპლექსური მეთოდის მომხრენი უმთავრეს დადებით მხარედ აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ამ მეთოდის შემწეობით ბავშვების წინ თანდათან იშლება ცხოვრების მოვლენები, რომლებიც მათ უნდა გაასხვავონ, მთლიანად იშლება, მაგრამ, კომპლექსში ასეთი ბუნებრივი გადასვლა არ არის, არამედ ხელოვნური შეკოწიწება მოვლენათაც და საგანთაც. კომპლექსური მეთოდი არ მისცემს ბავშვებს სისტემატურ ცოდნას. სასწავლებლის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება კი ის არის, მისცეს მოსწავლეს სისტემატური ცოდნა და მომზადება. თუ ასეთი ეპიზოდური ხასიათი ექნება სწავლებას, თუნდაც 10—11 წლის ასაკში, როდისღა მოახერხოს ბავშვმა საკმარისი და აუცილებელი ცოდნა

შეიძინოს, ავიღოთ თუნდაც ის კომპლექსი, რომელიც აქ წარმოადგენილი იყო „ქარხნის გარშემო“. ამ კომპლექსში ყველაფერია და ხშირად მეტად რთული კითხვებიც, რომელთა გადაწყვეტას ბავშვი ძალდაუტანებლად ვერ შესძლებს. ასეთი შეკავშირება საკითხებისა და მოვლენებისა იქნება მეტად ხელოვნური. ადამიანის მნიშვნელობა იმაშია, რომ მკაფიოდ და შეგნებულად გამოჰყოს მოვლენა და წარმოადგინოს. ეს უნარი მას უნდა გამოუმუშაოს სკოლამ. კომპლექსური მეთოდი კი ამ მიზანს დააშორებს. სხვადასხვა საგნების დაკავშირება შეიძლება და სასურველია, სადაც ეს საჭიროა. მაგრამ საგანს თავისი სახე არ უნდა დაეკარგოს. ყოველ შემთხვევაში კომპლექსური მეთოდი სასარგებლო იქნება საბავშვო ბაღში, რომლისთვისაც სისტემატური ცოდნის მიცემა არ არის დამახასიათებელი<sup>1</sup>.

ი. ჯავახიშვილის მოსაზრებები კომპლექსური სისტემით სწავლების შესახებ საგნებით მართებული იყო და მისი ჭეშმარიტება რამდენიმე წლის შემდეგ საგნებით დადასტურდა. მაგრამ იგი ეწინააღმდეგებოდა განსახკომისა და განსახკომის წარმომადგენლის (სხლომის მომხსენებლის) გ. კონიაშვილის აზრს. მიუხედავად იმისა, რომ მომხსენებლის აზრით, საჭირო იყო საბჭოს მიერ გარკვეული გადაწყვეტილება ამ მეთოდის სკოლაში შეტანის თუ არ შეტანის შესახებ, საბჭომ თავი შეიკავა ასეთი გადაწყვეტილების მიღებისაგან.

გ. კონიაშვილი დაჟინებით მოითხოვდა, რათა საბჭოს მიერ გადაწყვეტილება აღნიშნული მეთოდის სკოლაში დანერგვის შესახებ, რადგან, მისი აზრით, თუ იგი სკოლაში არ იქნებოდა შეტანილი და პრაქტიკულად შემოწმებული, მის აეკარგიანობას ვერ გაიგებდნენ. მიუხედავად ამისა, საბჭომ დასკვნის გამოტანა შემდეგი სხლომისათვის გადადო. მაგრამ შემდგომი სხლომების ოქმებში ამ საკითხზე მსჯელობის კვალი აღარ ჩანს. ერთი რამ ცხადია: სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია არ მიუცია მისთვის სკოლაში მასობრივად დანერგვისათვის.

განსახკომის სახელმწიფო საბჭოს პედაგოგიური სექცია, როგორც ზევით აღინიშნა, ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობდა, მაგრამ 1924 წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ მასალები არ ჩანს. სავარაუდოა, რომ დ. უზნაძის გერმანიაში მივლინების გამო

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 64, გვ. 54.

(1923 წლის შემოდგომაზე) სექციამ შეწყვიტა არსებობა. ამიტომ იყო, რომ 1924 წლის ბოლოს განსახკომმა გამოსცა ბრძანება (1924 წლის 15/X, № 159) სამეცნიერო საბჭოსთან პედაგოგიური მუშაობის დაარსების შესახებ. ამ ბრძანებით პედაგოგიური სექციის თავმჯდომარედ დაინიშნა მ. ორახელაშვილი, მდივნად — თ. ბებურიშვილი<sup>1</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა ცოტა ხნის შემდეგ მოახდინა მთელი სამეცნიერო საბჭოს რეორგანიზაცია-ეს მოხდა 1925 წლის 26 იანვრის ბრძანებით. რეორგანიზაცია შეეხო არა მარტო საკუთრივ საბჭოს, არამედ მის სექციებსაც. კერძოდ პედაგოგიური სექციის რეორგანიზაციის მიზეზად დასახელებულია ის, რომ „სექციის ფუნქციები აღრუულია კომისარიატის ადმინისტრაციულ ფუნქციებთან“<sup>2</sup>.

სამეცნიერო საბჭოსა და მისი პედაგოგიური სექციის რეორგანიზაცია, რომელიც 1925 წლის იანვარში დაიწყო, მოასწავებდა მისი ავტონომიური უფლებების გაუქმებას. ამას კარგად გრძნობდა საბჭოს შემადგენლობა და ამიტომ თავის უკანასკნელ სხდომაზე, კერძოდ 1925 წლის 29 იანვარს, როცა ბოლო № 183 ოქმი დაიწერა, საბჭომ დაადგინა, რომ ამიერიდან აღარ შეკრებილიყო<sup>3</sup>. ასე დასრულდა სახელმწიფო-სამეცნიერო საბჭოს მუშაობა, მაგრამ საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებული მეცნიერები ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მაინც განაგრძობდნენ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაზე მუშაობას უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოში. არქივში დაცულია უნივერსიტეტის პროფესორთა სამეცნიერო საბჭოს ოქმები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს ამ მხრივ გაწეულ ფრიად ნაყოფიერ მუშაობაზე.

საინტერესოა ი. ჯავახიშვილის შეხედულებები და მისი პრაქტიკული მოღვაწეობა მასწავლებელთა კადრების მომზადების დარგში. აგრეთვე ის როლი, რომელიც ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მასთან დაკავშირებულმა პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა გასწიეს პედაგოგ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრებით ქართული სკოლების უზრუნველყოფისათვის 20-იან წლებში.

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ფ. 300, ა. 3, ს. 31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>3</sup> იქვე.

სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი არსებობის პირველ პერიოდში ძირითად მიზნად არ ჰქონია პედაგოგიური კადრების მომზადება, მაგრამ რესპუბლიკაში ისეთი მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი მასწავლებელთა კადრების მხრივ, რომ განსახკომი დაეინებით მოითხოვდა მისგან მთელი თავისი მუშაობა აქეთ მიემართა.

ჯერ კიდევ 1919 წელს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ უნივერსიტეტთან დაარსებულყო პედაგოგიური ინსტიტუტი. გამოიყო კომისია (ე. თაყაიშვილის, დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძისა და ა. რაზმაძის შემადგენლობით), რომელსაც დაევალა ინსტიტუტის ორგანიზაციისა და შტატების საკითხის „დეტალურად გამორკვევა“.

ეს საკითხი უნივერსიტეტის მიერ განათლების სამინისტროს წინაშე აღიძრა ჯერ კიდევ 1918 წლის ბოლოს, როცა უნივერსიტეტმა ი. ჯავახიშვილის ხელით დაწერილი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა განათლების სამინისტროს და თხოვა თბილისის საოსტატო სემინარიის გადაკეთება უნივერსიტეტის სამასწავლებლო ინსტიტუტად. ამ ბარათში დასაბუთებულია უნივერსიტეტთან ამ ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობა და საჭიროება, რადგან, — აღნიშნულია მოხსენებით ბარათში, — უნივერსიტეტი თავისი ძირითადი მიზნით არ არის მოწოდებული პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის, ამიტომ სხვადასხვა ტიპის სკოლების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა უნივერსიტეტთან დაარსდეს პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც გაცილებით იაფი დაუჯდება სახელმწიფოს, ვიდრე საოსტატო სემინარია. აქვე მოტანილია ხარჯთაღრიცხვა, საიდანაც ჩანს, რომ ინსტიტუტის უნივერსიტეტთან დაარსება მართლაც ერთიორად ამცირებდა ხარჯებს, რადგან ინსტიტუტის მართვა და ხელმძღვანელობა ძირითადად უნივერსიტეტის შტატს ეკისრებოდა.

უნივერსიტეტმა ამასთან ერთად განათლების სამინისტროს მთავრობისათვის წარსადგენად გაუგზავნა ინსტიტუტის დებულება, რომლის საფუძველზე გათვალისწინებული იყო ინსტიტუტის ორი საფეხურისაგან შედგენა. პირველი საფეხური შედგებოდა 2-წლიანი კურსისაგან და ითვალისწინებდა უმადლესი დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადებას, ხოლო 4 წელი გათვალისწინებული იყო საშუალო სკოლების მასწავლებელთა მომზადებისათვის. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მთავრობამ 1919

წლის 5/VI-ს მიიღო დადგენილება უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ინსტიტუტის დირექტორად აირჩია და შემდეგ სამინისტრომ ბრძანებით დანიშნა დ. უზნაძე. ხოლო მის მოადგილედ — დ. ფირცხალავა, მდივნად კი — ა. ხარაბაძე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნას იმით ასაბუთებდნენ, რომ უნივერსიტეტის ამოცანას არ შეადგენდა პედაგოგთა კადრების მომზადება. უნივერსიტეტის მესვეურები ამ გზით ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ სკოლების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. პედაგოგიური კადრების პრობლემა კი იმ პერიოდში ძალზე მწვავედ იდგა.

უნივერსიტეტის დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი 1918-20 წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშში (შედგენილია 1920 წლის ბოლოს და მოიცავს თითქმის სამ წელს) უნივერსიტეტთან არსებული „საპედაგოგო ინსტიტუტის“ შესახებ აღნიშნავს, რომ ინსტიტუტმა „მუშაობა 1919 წლის ოქტომბერში დაიწყო და შემდეგი მიზნების განხორციელება ჰქონდა გათვალისწინებული: 1. საპედაგოგიკო მეთოდებისა და ბავშვების სულიერ, გონებრივ აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა-ძიება, 2. საქართველოს გაეროვნებული საყოველთაო სწავლა-განათლებისათვის მასწავლებელთა საკირო მზადება და პედაგოგიური ლიტერატურისა და ცოდნისმოყვარეობის გავრცელება და აღორძინება“. ამ მიზნებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ივ. ჯავახიშვილი პირველს მიიჩნევს, რადგან, მისი აზრით, ჩვენს სკოლებში იყენებენ სხვა ხალხისა და სხვა პირობებისათვის შემუშავებულ მეთოდებს, საკიროა გამორკვეულ იქნას ამ მეთოდების შესაბამისობა „ჩვენი ბავშვების სულიერ თავისებურებასთან“, ჩვენი ენის თავისებურებებთან და ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებასთან. ამის შემდეგ ინსტიტუტმა, მისი აზრით, „იმ მეთოდებისა და გზების ძებნას უნდა მიჰყო ხელი, რომელნიც ზემოაღნიშნული სამი მთავარი პირობის მიხედვით ჩვენს სკოლებში საუკეთესოდ უნდა იყონ ცნობილი“.

<sup>1</sup> საისტორიო მოამბე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო, თბილისი, 1967, გვ. 407.

ავტორი მოხსენებით ბარათში უნივერსიტეტის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ სახალხო სკოლების II საფეხურისათვის მასწავლებელთა მომზადების შესახებ აღნიშნავს, რომ „1919-20 წ. წავლო წლისათვის საჭუშიანტარო (ენა, სიტყვიერება, ისტორია) განყოფილება გაიხსნა, 1920-21 წწ. კი ფიზიკურ-მათემატიკური (მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია) განყოფილებაც მოეწყო. პირველ წელიწადს 19 კაცი შემოვიდა ინსტიტუტში, მეორე წელიწადს 46, სულ 65-ია, რომელთაგან 19 მომავალს მაისში დაასრულებს ინსტიტუტს, ხოლო 40—46 კაცი 1922 წელს მაისში<sup>1</sup>. ავტორი უჩივის სტუდენტთა ცხოვრების ცუდ პირობებს, ისინი არ არიან უზრუნველყოფილი სტიპენდიებით, ბინებით და ა. შ.

მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინსტიტუტმა საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადებას მხოლოდ წელს (1920) მოჰკიდა ხელი და წელსვე იგი გამოუშვებს 40—42 ახალ მასწავლებელს.

1921 წლიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებდა პედაგოგიური კადრების მომზადების ის სისტემა, რაც მან წარსულიდან მემკვიდრეობით მიიღო. ამიტომ იმთავითვე ფართო ხასიათის ღონისძიებები გაიშალა მასწავლებელთა ძველი კადრების გადამზადების მიმართულებით. შეიქმნა მოკლე და გრძელვადიანი პედაგოგიური კურსები, რომლებიც შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმებად და სასწავლებლებად გადაკეთდა. გაიზარდა პედაგოგიური ტექნიკუმების ქსელი, ხოლო 1921 წლის ივნისში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა პედაგოგიური ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „საპედაგოგიო ფაკულტეტი“. ამ ფაკულტეტს თავდაპირველად ორი განყოფილება ჰქონდა, შემდეგ კი — სამი: 1. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ორი დარგით: ა) ფსიქოლოგიისა და ბ) პედაგოგიის; 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (სხვანაირად მას საისტორიო-სალიტერატუროსაც უწოდებდნენ)

<sup>1</sup> საისტორიო მოამბე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო, თბილისი, 1967, გვ. 408.



განყოფილება, რომელიც შეიცავდა 4 დარგს: ა) სიტყვიერების, ბ) ენათმეცნიერების, გ) ისტორიის, დ) ხელოვნების დარგებს. 3. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილება შეიცავდა ორ დარგს: ა) ბუნებისმეტყველების, ბ) ფიზიკა-მათემატიკის<sup>1</sup>.

ცხადია, ეს ნაბიჯი პედაგოგთა კადრების მომზადებაში გარკვეულ გაუმჯობესებას მოასწავებდა, მაგრამ უნივერსიტეტის ერთიან-მა ორგანიზმმა ეს რეორგანიზაცია ძალზე მწვავედ განიცადა. ამას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჭავჭავიძის მოხსენებრით ბარათი განათლების სახალხო კომისარიატის „აკადემიური ცენტრის თავმჯდომარის“ მიმართ. ეს ბარათი დათარიღებულია 1921 წლის 4 აგვისტოთი. „საქართველოს საისტორიო მოამბეში“ ეს დოკუმენტი პუბლიკაციის ავტორის მიერ დასათაურებულია, როგორც „საუნივერსიტეტო რეფორმის განხილვის დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიური უფლებების დაცვის შესახებ“, მაგრამ ჩვენ ამ წერილის მნიშვნელობა და ფარგლები უფრო ფართოდ გვეჩვენება. კერძოდ მთელი ამ მიმართვიდან გამოსკვიების უნივერსიტეტის ჯანსაღი ორგანიზმის დაცვის სულისკვეთება. „ჩვენს უნივერსიტეტში სწავლადამთავრებულნი რომ ამასთანავე საპედაგოგო მოღვაწეობისათვის სრულებით მომზადებულნი ყოფილიყვნენ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, უნივერსიტეტთან განსაკუთრებული საპედაგოგო ინსტიტუტი არსებობს, სადაც სიბრძნის-მეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტები, რომელნიც მასწავლებლებად ემზადებიან, სპეციალურ-საპედაგოგო საგნებსაცა და პრაქტიკულ პედაგოგიასაც სწავლობენ, თანაც ვარჯიშობენ. ამ ორი საშუალებით ჩვენს უნივერსიტეტს სრული საშუალება აქვს იმ მიზანსაც მიაღწიოს, რომელიც აკადემიური ცენტრის პროექტშია დასახული“ — წერს ივ. ჭავჭავიძე. ამ მოტივით ივ. ჭავჭავიძე ცდილობს უნივერსიტეტს თავიდან ააცდინოს სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პედაგოგიური ფაკულტეტის სახელწოდებით გაერთიანება. მაგრამ ავტორმა იცის, რომ საკითხი გადაწყვეტილია და აყენებს კომპრომისულ წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური ცენტრი აუცილებელ საჭიროებად ჩათვლის საპედაგოგო ფაკულტეტის სახელწოდების შე-

<sup>1</sup> ორსმცსა, ფ. 471, ა. 1, ს. 25, გვ. 14.

მოღებას: „უნივერსიტეტის საბჭოს ამის საწინააღმდეგოდ არაფერი ექნება, მხოლოდ მაშინ ეს უზარმაზარი ფაკულტეტი სამი განყოფილებისაგან იქნება შემდგარი: სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკური და საბუნებისმეტყველო“.

აქვე ლაპარაკია სწავლის ხანგრძლივობის შესახებ. უნივერსიტეტის მესვეურები მოითხოვდნენ, რომ სწავლის ვადა ყველა ფაკულტეტზე 4 წელზე ნაკლები არ ყოფილიყო, ხოლო სამკურნალოზე — 5-6 წელზე ნაკლები. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი უნივერსიტეტისთვის უჩვეულოა და თუ კომისარიატს მისი დაარსება აუცილებლად მიაჩნია, თვით მათ უნდა შეიმუშაონ მისი შექმნის გეგმა. დასასრულ ავტორი მოითხოვს ყოველგვარი რეორგანიზაციის დროს უნივერსიტეტს შეუნარჩუნდეს ავტონომიური უფლებები, რაც უნივერსიტეტის წარმატების საწინდარს წარმოადგენს<sup>1</sup>.

მაგრამ ახალი სკოლის მშენებლობის ამოცანები დაყინებით მოითხოვდნენ ახალი პედაგოგიური კადრების მომზადებას, რასაც პედაგოგიური ინსტიტუტი და აქა-იქ არსებული პედაგოგიური ტექნიკუმი ვერ შეასრულებდა. ამიტომ იყო, რომ განსაკვირვებულად დააწყვეტილებით 1921 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ახალი — საპედაგოგო ფაკულტეტი, რომელსაც დაუქვემდებარდა უნივერსიტეტის პედაგოგიური ინსტიტუტი და ამიერიდან მას ეწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ფაკულტეტის ინსტიტუტი.

ამ ინსტიტუტის ბოლო, 1922—1923 სასწავლო წლის მუშაობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მისი სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმები, რომლებსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე დ. უზნაძე, (ინსტიტუტის გამგე), მოადგილე დოროთე ფირცხალაეა და მდივანი ათანასე ხარაბაძე. გვეცნობთ რამდენიმე ოქმის შინაარსს.

ინსტიტუტში 1922—1923 სასწავლო წელს სწავლა დაწყებულია 1922 წლის 22 ოქტომბერს. მსმენელთა რიცხვი განისაზღვრება 30 კაციით. მიღებულ იქნა 7 კლასდამთავრებული ახალგაზრდა. პედაგოგიურმა საბჭომ მოისმინა დ. უზნაძის მოხსენება ინსტიტუტის სასწავლო გეგმის შესახებ. მან აღნიშნა: „პირველ კურსზე მთავარი

<sup>1</sup> საისტორიო მოამბე, 21—22, 1967, გვ. 418.

ყურადღება ექცევა ზოგადი განათლების საგნებს. ამ კურსებზე მთავარ მიზნად დაეისახეთ გაღრმავებულად და გაფართოებულად გავიაროთ ყველა საგანში საშუალო სასწავლებლის პროგრამა. მნიშვნელოვან სტეპ მოწაფეებს ისეთი მომზადება, რომ მათ შეძლონ შრომის სკოლაში ყველა საგანში სათანადო წარმატებით მეცადინეობა, ამ კურსზე იწყება მათემატიკა, ფიზიკა, ქართული და რუსული ენები, საქართველოს და მსოფლიო ისტორია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ბუნებისმეტყველება და პოლიტიკური ეკონომიკა.

მეორე კურსზე იწყება ერთგვარი სპეციალიზაცია: იქმნება სხვადასხვა სექციები. ასე მაგ., ლიტერატურის სექცია, მათემატიკური სექცია და სხვ. ამ კურსზე სპეციალობის მიხედვით მსმენელებს ეძლევათ უფრო სერიოზული მომზადება ამა თუ იმ საგანში. მასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსმენელთა პრაქტიკულ მომზადებას. ამ მიზნით მსმენელნი რიგ-რიგობით აძლევენ ინსტიტუტთან არსებულ შრომის სკოლაში (ლაპარაკია III საცდელ-სამკვლევებელ შრომის სკოლაზე. დ. გ.) სანიმუშო გაკვეთილებს წინასწარ კონსპექტის შედგენით. მიცემული გაკვეთილების გარჩევა ხდება ხელმძღვანელი მასწავლებლის და ყველა მსმენელის თანდასწრებით. სწავლების სისტემა სემესტრულია<sup>1</sup>. ამავე ოქმში მოცემულია გაკვეთილების განაწილება მასწავლებელთა შორის.

იმევე წელს გაიხსნა პარალელური კლასი იმასთან დაკავშირებით, რომ განსაკომმა ინსტიტუტის მსმენელთათვის დააწესა 50 სტიპენდია. აქვე გაიჩნა სწავლების მეთოდების საკითხი: უარყოფილ იქნა ლექციური მეთოდი და რეკომენდაცია მიეცა შერეულ მეთოდს. ზოგ საგანში რეკომენდებული იყო პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტიტუტში სწავლების ვადა 4 წელი იყო. კვირეული დატვირთვა ყველა კურსზე უდრიდა 42 საათს. იგი ამზადებდა მასწავლებლებს შვიდწლიანი შრომის სკოლებისათვის.

სასწავლო გეგმაში ზოგადი განათლების საგნებთან ერთად ფართოდ იყო წარმოდგენილი პედაგოგიური ციკლის დისციპლინები: ზოგადი და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, ბავშვთა ფსიქოლოგია, პედაგოგიკურ იდეათა ისტორია და თანამედროვე პედაგოგიკის საკითხები, პედაგოგიკა, პედოლოგია, ზოგადი დიდაქტიკა, სოციალური აღზრდის ძირითადი პრინციპები, შრომის სკოლა, დეფექტურ

<sup>1</sup> საქართველოს ორსმცსა, ფ. 475, ა. 1, ს. 9.

ბავშვთა აღზრდა, მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვა, პიგიენა  
სანიტარიით და მეთოდოლოგიით შემდეგი საგნების სწავლებისა: სკო-  
ლის ასაკამდე დაწესებულებათა მუშაობის, სკოლის გარეშე მუშა-  
ობა, მოყოლა და საბავშვო კითხვა, ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყ-  
ველება და ფიზიკა. საზოგადოებათმეცნიერება, გეოგრაფია, ხატვა-  
ძერწვა, ხელგარჯილობა, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა  
და სხვ. უკანასკნელ კურსზე პრაქტიკას ეთმობოდა 12 საათი<sup>1</sup>.

ეს ინსტიტუტი 1923—1924 სასწავლო წლიდან ორწლიან პედა-  
გოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა, მაგრამ მისი დანიშნულება იგივე  
დარჩა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განსახკომის  
პროფგანათლების მთავარმმართველობამ 1923 წლის 21 აგვისტოს  
გამოსცა ბრძანება, სადაც აღნიშნულია: „ტფილისის პედაგოგიური  
ინსტიტუტის გამგეს! თანახმად განათლების სახალხო კომისარი-  
ატთან არსებული საბჭოს ა. წ. 4 ივლისის სხდომის დადგენილებისა  
რწმუნებული თქვენდამი სასწავლებელი მომავალ 1923-24 სამოს-  
წავლო წლიდან გადაკეთებულ იქნა ორწლიან პედაგოგიურ ტექნი-  
კუმად და დაექვემდებარა უშუალოდ პროფგანათლების მთავარ-  
მმართველობას. ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებულ პედაგო-  
გიურ ტექნიკუმებში მსმენელთა მისაღები ადგილების „მაზრობრი-  
ვი განაწილების“ მიხედვით თქვენს ტექნიკუმში უნდა მიღებულ იქ-  
მნენ ტფილისის მაზრიდან — 10, ღუშეთის — 5, ბორჩალოს — 2,  
რაქის — 5, ლეჩხუმის — 5, ზუგდიდის — 3, სულ 30, რაიცა უკვე  
ეცნობათ ამ მაზრებს. ტექნიკუმში, მისი „დებულების“ მე-4 მუხ-  
ლის შენიშვნის (აქ შეცდომაა, „დებულებაში“ ეს შენიშვნა პირველ  
მუხლს ერთვის და არა მე-4 პუნქტს. დ. გ.) თანახმად, მიიღებიან  
მხოლოდ აწინდელ ტექნიკუმებში სწავლადამთავრებულნი...“ მიმარ-  
თვას გამგის მაგიერ საზის ჩამოსმით ხელს აწერენ განსახკომის პრო-  
ფგანათლების მთავარი სამმართველოს გამგის მოადგილე ვ. კან-  
დელაკი და მდივანი ალ. მიქელაძე<sup>2</sup>.

ამ მიმართვასთან ერთად გაგზავნილ იქნა „დებულება“, „წესე-  
ბი“, „შინაგანაწესი“ და სხვ. უნდა ვივულისხმოთ, რომ ტექნიკუ-  
მის გამგედ დატოვებულ იქნა დ. უზნაძე. თუმცა იგი იმ დროს სა-  
ქართველოში არ იყო, რადგან უნივერსიტეტის პროფესორთა

<sup>1</sup> საქ. ორსმცა, ფ. 475, ა. 1, საქმე 10.

<sup>2</sup> იქვე.

საბჭოს დადგენილებითა და განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით სამეცნიერო მივლინებით გერმანიაში იმყოფებოდა, განსახკომის ერთ-ერთ მიმართვას ადრესატად აწერია: „ტფილისის პედაგოგიური ტექნიკუმის გამგეს (დ. უზნაძის მოადგილეს)“, ხოლო 1923 წლის 9/X-ის მიმართვაში ვკითხულობთ: „თბილისის 1 პედტექნიკუმის გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ა. ხარაბაძეს! განათლების სახალხო კომისიის განკარგულების თანახმად წინადადება გეძლევათ ზემოაღნიშნული ტექნიკუმი დაუყოვნებლივ გადაიტანოთ ახალ ბინაზე საუფლისწულო (ახლა პეტრიაშვილის) ქ. 3“<sup>1</sup>.

ინსტიტუტის დახურვის შემდეგ მსმენელებს უფლება მიეცათ ჩარიცხულიყვნენ უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის შესაბამის კურსებზე.

ტექნიკუმი მართლაც გადავიდა ახალ ბინაზე, მაგრამ მას დიდხანს აღარ უარსებია, 1923 წლის შემოდგომაზე იგი თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა და გამგედ დაინიშნა გ. ნათაძე<sup>2</sup>.

თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორ მასწავლებელთა შემადგენლობა თითქმის იგივე დარჩა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ინსტიტუტში და შემდეგ მის ბაზაზე წარმოშობილ პედაგოგიურ ტექნიკუმში იყო. კერძოდ, 1925 წლის მაისისათვის განსახკომში გაგზავნილი სიის თანახმად ინსტიტუტის თანამშრომლებია: გამგე გ. გოჯუაძე (იგი გ. ნათაძის ნაცვლად დაინიშნა 1924 წლის სექტემბრიდან), მოადგილე ხარაბაძე, ლექტორები: დ. უზნაძე, გ. ნათაძე, ა. ჯანელიძე, მ. ზანდუკელი-გ. ნოზაძე, დიმ. მგელაძე, ვ. თოფურია, ნ. ჯაფარიძე, ს. მაჩაბელი, ი. რუხაძე, გ. მესხი, ბ. წიფურია, ვ. გეგეშიძე და სხვ.<sup>3</sup>

საქართველოს განსახკომის კოლეგიის 1924 წლის 16 დეკემბრის სსდომის გადაწყვეტილებით თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტს მარიამ ორახელაშვილის სახელი მიეკუთვნა. ამასთან დაკავშირებით განსახკომის პროფგანათლების მთავარმმართველობა

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 475, ა. 1, საქმე 10. უნდა შეენიშნოთ, რომ ეს ტექნიკუმი იმყოფებოდა იმავე შენობაში, სადაც წინათ ინსტიტუტი იყო, კერძოდ კამოს ქუჩაზე, შესაშვ საცდელი (ახლა 23-ე) სკოლის შენობაში. (ავტ.).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>3</sup> იქვე, ს. 24, გვ. 45.

ინსტიტუტის გამგეს გ. გოგუაძეს 1924 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული მიმართვით წინადადებას აძლევს შეუქვეთონ ახალი ბუკედი და შტამპი, მიმართვას თან ერთვის კოლეგიის ოქმიდან ამონაწერი ინსტიტუტისათვის მ. ორახელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. იმავე წელს ინსტიტუტმა განსახკომის წინაშე აღძრა საკითხი ინსტიტუტის სამწლიანად გადაკეთების შესახებ.

თბილისის მ. ორახელაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის შინაარსი და სტილი ასახულია ინსტიტუტის პედაგოგიური საბჭოს ოქმებში. მათ გულმოდგინედ ადგენდა ვ. თოფურია, რომელიც პედაგოგიური საბჭოს მდივნად და ქართული ენის სწავლების მეთოდის ლექტორად მუშაობდა.

ინსტიტუტის მსმენელთა მომზადებაში პრაქტიკული საკითხების წინ წამოწევის მიზნით, აუცილებელ მოთხოვნად იყო მიჩნეული თეორიული საკითხების პარალელურად პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარება- მსმენელთა გააქტიურების მიზნით სწავლებაში რეკომენდებული იყო ლაბორატორიული მეთოდის გამოყენება. გამოცდები სწავლებიდან მთლიანად განდევნილი იყო.

ინსტიტუტში ისწავლებოდა პედაგოგია, პედაგოგიის ისტორია, შრომის სკოლის პედაგოგია და სხვა. პედაგოგიის თეორიასა და ისტორიას დ. უზნაძე კითხულობდა, ხოლო შრომის სკოლის პედაგოგიას — გ. გოგუაძე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ფაკულტეტი შეიქმნა 1921 წლის ნოემბერში სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების შეერთებით. ფაკულტეტის დეკანად პროფესორთა საბჭომ აირჩია კ. კეკელიძე<sup>1</sup>. ამ ფაკულტეტს ჰქონდა პირველად ოთხი, ხოლო შემდეგ სამი განყოფილება: 1. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური (ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის დარგებით), 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება, ანუ საისტორიო-სალიტერატურო (სიტყვიერების, ენათმეცნიერების, ისტორიისა და ხელოვნების დარგებით); 3. საბუნებისმეტყველო-მათემატიკური (ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის დარგებით). სწავლის ეადა იყო 4 წელი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქ. ორს.მცსა, ფ. 471, ა. 1, ს. № 2, ოქმი № 34.

<sup>2</sup> იქვე, ა. 1, საქ. 25, ფურც. 39.

საპედაგოგო ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ „სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ფაკულტეტი მიზნად ისახავს განათლების სარბიელზე მომუშავეთა თეორეტიულსა და პრაქტიკულ მომზადებას...“<sup>1</sup>.

პირველი ორი წელი დათმობილი ჰქონდა „საფუძველმდებელ სამეცნიერო კურსებს“, ხოლო მეორე ორი წელი სპეციალობაში მომზადებას და პედაგოგიური ცოდნით შეიარაღებას. ასე, მაგალითად, სიტყვიერების დარგზე ისწავლებოდა (ბოლო კურსებზე) პედაგოგიის ციკლის შემდეგი საგნები: „... 8. პედაგოგიის ისტორია, 9. პედაგოგიური ფსიქოლოგია: ბავშვობის და სიყრმის ფსიქოლოგია და პედაგოგიური დასკვნები (პრაქტიკუმით), 10. სახალხო განათლების სისტემა საქართველოში და თანამედროვე კულტურულ ქვეყნებში (გაცნობა სათანადო დაწესებულებათა), 11. დიდაქტიკა და აღზრდის მოძღვრება, 12. სემინარი: ვარჯიშობა რომელსამე დიდაქტიკურ პრობლემაზე — საცდელ სკოლასთან დაკავშირებით, 13. შრომის სკოლის მეთოდთა და დიდაქტიკა (სპ. სკოლასთან დაკავშირებით), 14. სპეციალური საგნის მეთოდთა და დიდაქტიკა 15. გაცვეთილების გეგმის შედგენა, მიცემა და გარჩევა. 16. სასკოლო ასაკამდე აღზრდის სისტემები. 17. კლასის ან საგნის ხელმძღვანელობა საცდელ სკოლაში“<sup>2</sup>.

პედაგოგიური ფაკულტეტის სხვადასხვა დარგზე თითქმის ყველგან ასე იყო წარმოდგენილი პედაგოგიური ციკლის დისციპლინათა სწავლება, რომელსაც საკმაო დრო ეთმობოდა და რამდენადმე შეკვეცილი იყო მთელი რიგი სხვა დისციპლინების (მეცნიერებათა დარგების) სწავლება. ეს სასწავლო გეგმა შედგა განსახკომის სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ შემუშავებული მითითებების მიხედვით, რადგან, როგორც ჩანს, განათლების კომისარიატს არ აკმაყოფილებდა უნივერსიტეტში სტუდენტთა პროფესიული მომზადების საქმე და დრო და დრო მითითებებს აძლევდა სასწავლო გეგმის გაუმჯობესების შესახებ, ხოლო 1925 წელს კომისარიატმა იმ მიზნით, რომ დაჩქარებულყო პედაგოგთა კადრების მომზადება, მოითხოვა უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ძირეული გადახალისება. არქივმა შემოგვინახა განსახკომის მიერ შემუშავებული მითითება:

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 471, ა. 1, საქ. 25, ფურც. 39.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

რა მოსაზრებანი უნდა დაედოს საფუძვლად პედაგოგიური კულტურის მუშაობის გადახალისებას“. ამ დოკუმენტის შინაარსი ასეთია: ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების აჩქარებულ ტემპში მათთვის კადრებს. უმაღლესმა სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობა უნდა დააკმაყოფილონ სპეციალისტებით, რომლებიც „მეფარდებულნი იქნებიან მშენებლობის ყველა ამოცანებთან“. ამასთან დაკავშირებით უნდა გადაისინჯოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტრუქტურა, მისი მუშაობის შინაარსი და მეთოდები. მას უნდა დაეკისროს ისეთი კადრების მომზადება რომლებიც აღქურვილი იქნებიან მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით, პედაგოგიური მომზადებით და „პრაქტიკულ შრომის უნარით სხვა და სხვა სპეციალისტების დარგში“. აქედან გამომდინარე, პედაგოგიური კადრების მომზადება სამ ელემენტს უნდა შეიცავდეს: ა) საზოგადოებრივე-ეკონომიური, ბ) პედაგოგიურ-პედოლოგიური, ვ) სპეციალურ-მეცნიერული. ამ გზით მომზადებულმა კადრებმა უნდა შეძლონ მუშაობა როგორც სამეურნეო-კულტურულ, ასევე სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე. უნდა ისწავლებოდეს ისეთი საგნები, რომლებიც შეესაბამებიან მშენებლობის გადაუდებელ ამოცანებს. სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მშენებლობის რეალურ მოთხოვნილებებს. განათლებას უნდა მიეცეს ორი განსრავსასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიულ-ტექნიკური. „განათლების ორგანიზებში მომუშავე კადრების მომზადების მიზნით, მეოთხე კურსზე ყველა დარგიდან არჩეული სტუდენტების შემადგენლობით, ახლავე შეიქმნას ქვეგანყოფილება, რომელზედაც დამატებით დამუშავდება: ა) სახალხო განათლების ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში და ბ) საინსპექტორო-საინსტრუქტორო მუშაობის შინაარსი და მეთოდები სათანადო პრაქტიკუმითან დაკავშირებით“.

სასწავლო გეგმები უნდა განიტვირთოს ისეთი საგნებისაგან, რომლებიც არ არის აუცილებელი. უწყვეტი პრაქტიკა მოწესრიგდეს; პრაქტიკა უნდა იყოს საწარმოო (I და II კურსებზე) და კულტურულ-პედაგოგიური (III—IV კურსებზე) მეთოდები უნდა ისწავლებოდეს III და IV კურსებზე. ეს უკანასკნელი (IV კურსი) უნდა დაეთმოს პრაქტიკულ მუშაობას; შეიცვალოს მუშაობის სისტემა და მეთოდები. „სტუდენტობა ჩაყენებული უნდა იქნეს მოწესრიგე-



ბული გეგმიანი მუშაობის კალაპოტში, რათა ყოველდღიური მუშაობის პროცესში შესაძლებელი იყოს მისი ყოველმხრივ შესწავლა და მუშაობის აღრიცხვა. ასეთ პირობებში ზედმეტი იქნება სესიები და გაშოცდები, რომლებიც არსებითად დროს დაკარგვად უნდა ჩაითვალოს<sup>1</sup>.

ამ დებულებების საფუძველზე შედგენილი ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებული სასწავლო გეგმის (საჭიროდ არ მიგვაჩნია არაპედაგოგიური ციკლის საგნების დასახელება, რადგან ამ მხრივ სასწავლო გეგმის ნაკლი მკაფიოდ ჩანს ქვემოთ ნაჩვენები დოკუმენტებიდან) შესახებ მოხსენებითი ბარათით განათლების კომისარს მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა. იგი უსაყვედურებს კომისიას უნივერსიტეტში პროფილების დავიწროებას. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ გეგმით „მოსპობილია მთლიანად ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ისტორიის დარგები, არსად მოიპოვება ბერძნული, ლათინური და ახალი აღმოსავლეთის იმ ენებისა და მწერლობის ისტორია, რომელთა სწავლება უნივერსიტეტის დაარსებიდანვე სწარმოებდა. თვით ქართული მწერლობის ისტორიაც კი მარტო ახალი და უახლესი ხანით არის განსაზღვრული, მაშასადამე ქართული მწერლობის ცამეტი საუკუნის ისტორია მთლიანად გაუქმებულია. აღსანიშნავია, რომ ისეთი ძირითადი საგნის, როგორიც ფიზიოლოგიაა, ხსენებაც კი არ მოიპოვება“<sup>2</sup>.

ივ. ჯავახიშვილს მოაქვს მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და ლენინგრადის გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო გეგმები, რომლებშიც შეტანილია ანატომიაც, ჰისტოლოგიაც, ფიზიოლოგიაც, ელექტროქიმია და თერმოქიმია საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, ხოლო ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე სავალდებულოა ლათინური ენა და ავტორების კითხვა-კომენტარები, საბერძნეთისა და რომის მწერლობის ისტორია, რომანული და გერმანული ფილოლოგია. გარდა ამისა იგი ამტკიცებს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში, გარდა შირიაევსკის (მოსკოვის 2 უნ.) უნივერსიტეტისა, არცერთს არა აქვს პედაგოგიური ფაკულტეტი. „ამგვარად ცხადია, — წერს იგი, — რომ პედაგოგიური სექციის პროექტს რუსეთის უნივერსიტეტის გეგმასთან არაფერი აქვს საერთო და მისი განხორციელება განსაცდელში ჩააგ-

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 471, ა. 1, საქმე 25, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე.

ღებს ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებას<sup>1</sup>. მისი აზრით, ამ პროექტის განხორციელება ზიანს მოუტანს და შეაფერხებს ჩვენი ქვეყნის კულტურულ განვითარებას. რუსეთის უნივერსიტეტი აიტანს ასეთ რეორგანიზაციას, რადგან იქ ბევრი უნივერსიტეტი და ინსტიტუტია, ჩვენში კი ერთადერთი უნივერსიტეტი გვაქვს და იგი „ქვეყნის მრავალგვარ მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს“.

ივ. ჭავჭავიძის აზრით, განსახკომის სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის გეგმა არც მომავალი მასწავლებლის მომზადების თვალსაზრისით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგან მასწავლებელს მრავალმხრივი განათლება ესაჭიროება. იგი გვაძლევს შესანიშნავ დახასიათებას მასწავლებელისას, რომლის „მოწოდება, — და წოდება იმდენად მაღალი და დიდია, რომ ის ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი საუკეთესოდ და ფართოდ უნდა იყოს განათლებული, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელ მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელი. მხოლოდ ასეთი პირი აასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას. ამიტომ მას შესაფერისი მომზადება უნდა ჰქონდეს და პედაგოგიური ფაკულტეტის პროგრამას განმარტივება კი არა, გაფართოება სჭირდება“<sup>2</sup>.

ივანე ჭავჭავიძის ენების შესწავლა იმიტომაც მიიჩნია საჭიროდ, რომ ჩვენში არის სომხური, თურქული, თათრული, ბერძნული და სხვა ეროვნების სკოლები. მისი აზრით, „განა უკეთესი არ იქნება, რომ იქაც ამ ენების მცოდნე განათლებული ქართველი ასწავლიდეს, რომელსაც ჩვენს უნივერსიტეტში ექნება განათლება მიღებული? ამის გარდა ქართველმა მოღვაწემ თავის მეზობლების ...ენა და ისტორია, მწერლობა და კულტურა უნდა იცოდეს. მათთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ქართველისათვის ბუნებრივი და აუცილებელიც არის. ერთა შორის სოლიდარობა ამ ერთა გულისნადების, მათი ენისა და მწერლობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია“<sup>3</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე ი. ჭავჭავიძელი დაასკვნის, რომ მასწავლებლის მოსამზადებლად სრულებითაც არ არის საკმარისი,

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 471, ა. 1, საქმე 25, გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე-გვ. 9.

<sup>3</sup> იქვე.

რომ პედაგოგიური ფაქულტეტის პროგრამები მხოლოდ პედაგოგიური საგნებით ამოიწურებოდეს. იგი ასაბუთებს პედაგოგიური ფაქულტეტის სახელწოდების უმართებულობას, მით უმეტეს, რომ ამ სახელწოდებას, მისი აზრით, გაუგებლობა შეაქვს და მთელი უნივერსიტეტის გეგმის შეცვლა-დარღვევამდე მივყავართ. მისი აზრით, საჭიროა მთელი ფაქულტეტის კი არა, მხოლოდ პედაგოგთა სპეციალობისათვის სათანადო სასწავლო გეგმა შემუშავდეს, რომელიც სავალდებულო იქნება იმისათვის, ვინც მომავალ სამოღვაწეო ასპარეზად მასწავლებლობას აირჩევს. მაგრამ ეს გეგმებიც უფრო ფართო და შინაარსიანი, ამავე დროს დასაძლევე უნდა იყოს, ვიდრე პროექტი ითვალისწინებს<sup>1</sup>.

ჩვენ შედარებით ვრცლად გავაცანით მკითხველს ივ. ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათი, რომელიც მრავალ ძვირფას შეხედულებას შეიცავს უმაღლესი განათლების შესახებ საერთოდ, და პედაგოგიური განათლების შესახებ, კერძოდ. ივ. ჯავახიშვილის პოზიციები, რაც უთუოდ თეორიულად სწორი იყო, არ შეესაბამებოდა განსაკომის პოზიციებს. განათლების კომისარიატი ქვეყნის კონკრეტული მოთხოვნების მიხედვით ცდილობდა უნივერსიტეტის რეორგანიზაციას და პედაგოგიურ კადრებზე იმ დიდი მოთხოვნებით ხელმძღვანელობდა, რომელიც 20-იან წლების მთელ მანძილზე იგრძნობოდა. ალბათ სხვა მიზეზებთან ერთად ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ 1925 წელს ივანე ჯავახიშვილი ჯერ განსაკომის სამეცნიერო საბჭოს ჩამოშორდა, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის რექტორობიდანაც ვათავისუფლდა.

შემდგომში, როგორც ცნობილია, პედაგოგიურ ფაქულტეტს ეწოდა პედოლოგო-პედაგოგიური ფაქულტეტი. მასთან 1930 წლის მეორე სემესტრიდან შეიქმნა საორგანიზაციო საინფორმაციო განყოფილება, სადაც ჩაირიცხა 30 სტუდენტი. აქედან 10 საბუნებისმეტყველო, 7 საზოგადოებათმცოდნეობის, 6 ფიზიკა-მათემატიკურ, 4 ლიტერატურულ, 3 პედოლოგო-პედაგოგიურ სპეციალობებზე. სასწავლო გეგმაში დაემატა შემდეგი საგნები: 1. სახალხო განათლების ორგანიზაცია სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში — 2 ს. 2. საინსპექტორო-საინსტრუქტორო მუშაობის შინაარსი და მეთოდები — 6 ს. 3. საინსტრუქტორო პრაქტი-

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 471, ა. 1, საქ. 25, გვ. 10.

კა სკოლებში — 4 ს<sup>1</sup>. 1930 წლის იანვრის მეორე გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე სწავლის ვადა განისაზღვრა 3 წლით<sup>2</sup>.

პედოლოგო-პედაგოგიური ფაკულტეტის მუშაობის შესახებ უნივერსიტეტების გამგეობა განსახკომისადმი წარდგენილ ანგარიშში 1928 წლის ოქტომბერში აღნიშნავდა: „პედაგოგიურ ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა და გარკვეული სახე მიიღო პედოლოგიურ-პედაგოგიურმა განხრამ, რომელმაც უნდა გაამართლოს როგორც სახელწოდება ფაკულტეტისა, ისე მისი აზრი და დანიშნულება. ამ განყოფილების ჩამოყალიბება განსახკომის მიერ გამოწვეული იყო იმით, რომ პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად დაიხურა ტფილისში არსებული პედაგოგიური ინსტიტუტი და მთელი შემადგენლობა მისი მსმენელებისა გადაყვანილ იქნა პედაგოგიურ ფაკულტეტის შესაფერ კურსებზე. ამგვარად, გარდა წმინდა მეცნიერული მიზნებისა, პედაგოგიურმა ფაკულტეტმა იკისრა იმ მიზნების განსორციელებაც, რომელიც დასახული ჰქონდა პედაგოგიურ ინსტიტუტს, ამისათვის კი საჭირო შეიქმნა პედოლოგიურ-პედაგოგიური განყოფილება...“<sup>3</sup>.

საქართველოს განსახკომი, როგორც ცნობილია, ამითაც არ დაკმაყოფილდა; უნივერსიტეტი 1930 წელს მთლიანად გადაკეთდა პედაგოგიურ ინსტიტუტად, რომელიც 1933 წელს ქუთაისში გადავიდა; იმავე 1933 წელს კი უნივერსიტეტი კვლავ აღდგა თავის უფლებებში.

<sup>1</sup> საქ. ორსმცსა, ფ. 471, ა. 1, ს. 307.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე, ს. 326, გვ. 246<sup>2</sup>. თბილისის მ. ორახელაშვილის სახ. ცენტრალური პედ. ინსტიტუტი დაიხურა 1928 წლის ივლისში. სტუდენტებს ნება დაერთოთ ჩარიცხულთაგან უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის შესაბამის კურსებზე.

Дмитрий Харитонович Гургенидзе

Деятельность Иванэ Джавахишвили  
в области народного образования и  
его педагогические взгляды

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси 1979

გამომცემლობის რედაქტორი მ. ი ნ ა ს ა რ ი ძ ე  
ტექნიკური რედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი  
კორექტორი მ. ე ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

სბ 540

გადაეცა წარმოებას 18.01.79. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.10.79.  
უე 06829. საბეჭდი ქაღალდი № 60X84<sup>1</sup>/<sub>14</sub>. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,75.  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 2,16. ტირაჟი 2 000. შეკვეთის № 96

ფასი 32 კაბ.

შეკვეთილი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательства Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

25/7

